სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 15
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები 16
6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები 17
7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 22
8 ძირითადი საშუალებები 24
9 მარაგები 25
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 25
11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 26
12 სააქციო კაპიტალი 27
13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 28
14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით 28
15 სხვა ხარჯები 29
16 სხვა შემოსავალი 30
17 ფინანსური ხარჯები 30
18 ფინანსური შემოსავალი 30
19 მოგების გადასახადი 30
20 პირობითი ვალდებულებები 30
21 ფინანსური რისკების მართვა 31
22 კაპიტალის მართვა 34
23 სამართლიანი ღირებულების შეფასება 35
24 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით 36
25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 37
26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე 37

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს ხელმძღვანელობას და აქციონერებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“. მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, როდესაც ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი, და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშში, გვევალება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ ასევე გამოვცემთ განახლებულ აუდიტორის ანგარიშს, სადაც ჩვენ ან განვაცხადებთ, რომ ზემოთხსენებულთან დაკავშირებით არაფერია მოსახსენებელი, ან აღვწერთ ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელსაც აღმოვაჩენთ მმართველობით ანგარიშში, კომპანიის და მისი გარემოებების ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც აუდიტის პროცესში მოვიპოვეთ. ჩვენი განახლებული ანგარიში ასევე მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, რომელიც ეხება წინამდებარე აბზაცში ნახსენებ საკითხებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 1 აპრილი
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	77,953	79,437
არამატერიალური აქტივები		330	78
სხვა აქტივები		1,006	441
სულ გრძელვადიანი აქტივები		**79,289**	**79,956**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	3,275	2,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	4,717	2,997
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		413	265
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	19,705	7,771
სულ მიმდინარე აქტივები		**28,110**	**13,329**
სულ აქტივები		**107,399**	**93,285**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	230,000	230,000
დამატებითი შენატანი კაპიტალში		2,185	2,185
დაგროვილი დეფიციტი		(125,263)	(140,520)
სულ კაპიტალი		**106,922**	**91,665**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	477	1,620
სულ მიმდინარე ვალდებულებები		477	1,620
სულ ვალდებულებები		**477**	**1,620**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**107,399**	**93,285**

დამტკიცებულია გამოსაცემად 2019 წლის 1 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბაჩანა სულაძე
გენერალური დირექტორი

ზამუკა მენაღარიშვილი
ფინანსური დირექტორი

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	14	**33,645**	**17,869**
სხვა შემოსავალი	16	1,526	1,594
სახელფასო ხარჯები		(10,156)	(8,463)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	(3,820)	(3,579)
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(2,791)	(1,576)
სხვა ხარჯები	15	(3,689)	(3,610)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**14,715**	**2,235**
ფინანსური შემოსავალი	18	1,143	1,188
ფინანსური ხარჯები	17	(601)	-
მოგება დაბეგვრამდე		**15,257**	**3,423**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	(265)
წლის მოგება		**15,257**	**3,158**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**15,257**	**3,158**

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(141,411)**	**90,774**
წლიური მოგება		-	-	3,158	3,158
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის		-	-	3,158	3,158
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	-	(2,267)	(2,267)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(140,520)**	**91,665**
წლიური მოგება		-	-	15,257	15,257
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის		-	-	15,257	15,257
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(125,263)**	**106,922**

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		34,572	20,708
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(8,382)	(7,615)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,072)	(8,000)
მოგების გადასახადის დასაფარად გაღებული ფულადი სახსრები		(662)	(55)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**15,456**	**5,038**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,921)	(6,054)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		393	164
მიღებული პროცენტი		1,143	899
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(2,385)**	**(4,991)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	12, 13	(1,134)	(1,134)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(1,134)**	**(1,134)**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(3)	1
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	**7,771**	**8,857**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	11	**19,705**	**7,771**

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-თან შესაბამისობაში, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო"-სთვის (შემდგომში "კომპანია").

კომპანია წარმოადგენს ქართულ დახურულ სააქციო საზოგადოებას, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" შესაბამისად. კომპანია ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმო 1995 წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 22 აგვისტოს №504 ბრძანების შესაბამისად. კომპანიის დამრეგისტრირებელი ორგანო საბურთალოს რაიონის სასამართლოა და მისი სარეგისტრაციო ნომერია 211324468.

კომპანიის მფლობელები არიან საქართველოს სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (50%) (ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო რომელიც ეკონომიკის სამინისტროს შეერწყა 2017 წლის 15 დეკემბერს) მიერ და რუსეთის ფედერაცია, რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიის" (50%) (რუსეთის ფედერაციის ელექტროენერგიის გადაცემის საქსელო სისტემის ოპერატორი და მმართველი) მიერ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-7 შენიშვნაში.

კომპანიას აქვს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია, რომელიც გაცემულია 2000 წლის 23 თებერვალს უვადოდ.

ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფებს განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკუთარი მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით ელექტროენერგიის გადაცემას საქართველოს ტერიტორიასა და მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზები წარმოადგენენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შორის სინქრონიზებული ელექტროენერგიის მიწოდების ქსელებს.

იურიდიული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია მარკ ბრონშტაინის ქუჩა. 1, 0178, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის განსაზღვრულ მახასიათებლებს, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და ცვალებად ინტერპრეტირებას.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა ეფექტი, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს"-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. ფასს 9 და ფასს 15 -ს მიღების შედეგად მიღებული ცვლილებების გარდა, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ესადაგება ყველა წარდგენილ პერიოდს, თუ არ არის სხვაგვარი მითითება. აღრიცხვის პოლიტიკის პრინციპები, ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ბრუნვის აღიარებასთან მიმართებაში რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო მიღებული , წარმოდგენილია შენიშვნა 26-ში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ფასს-თან შესაბამისობაში მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის, აგრეთვე, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან გამოიყენოს მისი მსჯელობა და კომპლექსურობა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებაში. ის ადგილები, სადაც მსჯელობისა და კომპლექსურობის მაღალი დონეა ჩართული, ან ის ადგილები, სადაც დასკვნები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, გამოვლენილია შენიშვნა 4-ში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL").

ტრანზაქციები და ნაშთი. მონეტარული კაპიტალი და ვალდებულებები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია ქართულ ლარში იმ დღის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია იმ დღის ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, მოგება და ზარალი, რომელიც ამ ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება, წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების" ნაწილში.

წლის ბოლოს გაცვლითი კურსის კონვერტაცია არ ესადაგება არამონეტარულ საგნებს, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით, არამონეტარული საგნები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაშია გაზომილი, კონვერტირებულია იმ კურსის გამოყენებით, რომელიც დაფიქსირდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს. სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული არამონეტარული საგნების უცხოური ვალუტა დაფიქსირდება, როგორც მოგება ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ")მიერ განსაზღვრული იყო ამერიკული დოლარი 1=2.6766 ქართულ ლარს და რუსული რუბლი 100= 3.8588 ქართულ ლარს (2017 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობა ასეთი იყო: ამერიკული დოლარი 1=2.5922 ქართულ ლარს და 100 რუბლი=4.4935 ლარს.) ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები გაცხადებულია ხარჯებში, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, მოთხოვნის მიხედვით. ძირითადი საშუალებების ფასი, 2010 წლის იანვრის მდგომარეობით, ფასს-ში გადასვლის დღეს, განსაზღვრული იყო მისი იმ თარიღით სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როცა საჭიროა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. *მიწას, მიმდინარე მშენებლობას და სათადარიგო ნაწილებს ცვეთა არ ერიცხებათ.*

სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	10 -დან45-მდე
ელექტრო გადამცემი ხაზები	25-დან 45-მდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-დან 10-მდე
ავტომობილები	3-დან 10-მდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, პატენტებით, სავაჭრო ნიშნებით და ლიცენზიებით.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია	2 -5 წელი

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხება ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც, ძირითადად, დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება, შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება: (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ტრანზაქციის დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივები, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის *("ECL")*.

დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი",) თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი") ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს-მოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიას აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიას მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიას მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია იყენებს ფასს 9 -ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, საგირავნო უზრუნველყოფის და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 თვის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები.

კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც დებიტორული დავალიანებები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის წილობრივ წონებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომპანიის მოვალეების ისტორიული ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორია, რომელსაც გავლენა აქვს დებიტორული დავალიანებების აღდგენითობაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა:

ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან მათ ფლობენ სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის.

საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 ან 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელსაც 20% ან მეტი აქვთ დღგ დაუბეგრავი შემოსავალი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება, შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამატი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნა 25-ში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

შემოსავლის აღიარება.

შემოსავალი წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. შემოსავალი აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ს გარეშე

საქონლის გაყიდვა - ელექტროენერგიის გადაცემა. ელექტროენერგიის გადაცემის ფასი ეფუძნება კომპანიის ხაზების მეიერ გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობას და შესაბამის ფიქსირებულ ტარიფს. მიწოდებული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურება იქნა გაწეული. შემოსავლის ვალდებულებების შესრულება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მიჩნეულ იქნა დაკმაყოფილებულად დროთა განმავლობაში, იმიტომ, რომ მომხმარებელი იღებს და იყენებს სარგებელს ერთდროულად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომხმარებლებს ეგზავნებათ ინვოისი ყოველთვიურად და მომსახურების გადახდა ხდება ინვოისის მიღების შემდგომ.

გადამცემი ხაზის იჯარიდან შემოსავალი მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადს კომპანიის ხაზის გამოყენებისთვის. შემოსავალი აღიარებულია ყოველთვიურ საფუძველზე.

დაფინანსების ელემენტი. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდებიდან მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს. შედეგად, კომპანია არ ცვლის ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი გადახდილი იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის ან უფლებამოსილი პირების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და დაშვებების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე დაშვებებს, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. დაშვებები, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის, მოდელების და მონაცემების შენატანების განსაზღვრებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვის მეთოდოლოგიის დეტალები გამოვლენილია შენიშვნა 21-ში. დეფოლტის რეიტინგებს დიდი გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის ანარიცხებზე, ისევე, როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებზე. კომპანია რეგულარულად განიხილავს და ამტკიცებს მოდელებს და მოდელებში შენატანებს, რათა შეამციროს განსხვავება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და ფაქტობრივი საკრედიტო ზარალის გამოცდილებას შორის. კომპანიამ გამოიყენა პერსპექტიული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, უპირველესად მისი კუთვნილი მაკროეკონომიკური პროგნოზის მოდელის შედეგები. ყველაზე მნიშვნელოვანი წინდახედული ვარაუდები რომლებიც ურთიერთკავშირშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დონესა და შეწონილობასთან არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები. საკუთრების საგნების და ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადების დადგენა მსგავსი აქტივების შეფასებაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მოიხმარება მათი გამოყენებისას. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორებიცაა ტექნოლოგიური დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებისგან მისაღები სარგებელის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ გამოყენებად ნივთებს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც აქტივებისგან ელიან კომპანიისთვის სარგებლის მოტანას. შემდეგი ფაქტორები არის უპირველესად გათვალისწინებული: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და საექსპლუატაციო პროგრამაზე; და (გ) ტექნოლოგიური დაძველება, რომლებსაც საბაზრო პირობებში ცვლილებები იწვევს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადებში 10%-იანი ცვლილება, ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გამოიწვევს 2018 წლის ცვეთის შემცირებას ან გაზრდას 382 ათასი ლარით (2017: 385 ათასი ლარით).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები" - მიღება. კომპანიამ „ფასს" 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ აირჩია არ შეეცვალა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 26-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია „ასს" 39-ის შესაბამისად შეფასებული თითოეული კომპანიის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი თანხები განსაზღვრულია „ფასს" 9-ის შემოღების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ასს 39-ის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერი	ფასს 9 -ს მიღების გავლენა ხელახლა შეფასება		საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის შესაბამისად, 2018 წ. 1 იანვარი
ათასი ლარი	**ასს 39**	**ფასს 9**		მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სხვა	
ფული და ფულის ექვივალენტი	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	7,771	-	-	7,771
სხვა ფინანსური აქტივები						
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	2,209	-	-	2,209
- სხვა დებიტორული დავალიანებები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	788	-	-	788
სულ სხვა ფინანსური აქტივები			**10,768**	**-**	**-**	**10,768**

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

(a) ფული და ფულის ექვივალენტები

11-ე შენიშვნაში გამჟღავნებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების ყველა კომპანია ხელახლა კლასიფიცირდა ასს 39-ის „სესხები და დებიტორული დავალიანების" ("L&R") კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბერს არსებული გაუფასურებისა და 2018 წლის 1 იანვარს არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხის გადაანგარიშება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია გასული პერიოდის ანარიცხის საბოლოო ნაშთი, რომელიც შეფასებული იყო გაწეული ზარალის მოდელით, ასს 39-ის შესაბამისად, ახალ საკრედიტო ზარალის ანარიცხთან, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი ზარალის მოდელით ფასს 9-ის შესაბამისად 2018 წლის 1 იანვარს:

ფასს 15-ის „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წ. 1 იანვარი).

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა" (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ მანამდე არ შემოიღო.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა" (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს მის სავალდებულო კორექტირების თარიღს, 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისობის ხელახლა გაცხადების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარისთვის იზომება გადასვლისას ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლებით იზომება იჯარის ვალდებულების თანხით დამტკიცებისას. (მორგებულია ყველა წინასწარგადახდილ ან დაგროვილ ხარჯებზე).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ვერ გაუქმებადი საიჯარო ვალდებულებები 2.809 ათასი ლარის ოდენობით. სხვა ვალდებულებები, დაახლოებით 25 ათასი ლარი მოკლევადიან იჯარებს ეხება, რომლებიც, ორივე, აღიარებული იქნება სწორხაზოვანი საფუძველით, როგორც ხარჯი მოგება ზარალში

საოპერაციო იჯარის ვალდებულებების თანხვედრაში მოყვანა აღიარებულ ვალდებულებასთან გამოვლენილია შენიშვნა 20-ში და არის შემდეგი:

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი 2019 წლის 1 იანვარი**
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის (შენიშვნა 20)	2,784
- ამჟამინდელი ღირებულების დისკონტის ეფექტი	(2,232)
სულ საიჯარო ვალდებულებები	**552**

დარჩენილი საიჯარო ვალდებულებებისთვის კომპანია მოელის გამოყენების უფლებით აქტივების აღიარებას დაახლოებით 532 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 1 იანვარს, საიჯარო ვალდებულებებს 552 ათასი ლარის ოდენობით.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ჯამურად ნეტო აქტივები იქნება დაახლოებით 20 ათასი ლარით ნაკლები, და ნეტო მიმდინარე აქტივები იქნება 64 ათასი ლარით ნაკლები ვალდებულების ნაწილის მიმდინარე ვალდებულებად წარდგენის შედეგად.

კომპანია მოელის რომ ნეტო მოგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაიწევს დაახლოებით 12 ათასი ლარით ახალი წესების მიღების შედეგად. საოპერაციო ფულადი ნაკადები გაიზრდება და საფინანსო ფულადი ნაკადები დაიწევს დაახლოებით 65 ათასი ლარით, მაშინ, როცა საიჯარო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება კლასიფიცირებული იქნება როგორც საფინანსო აქტივობების ფულადი ნაკადები.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები" - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, სამართლიანი ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ასს 28 "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგ., მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

გადასინჯული ასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო სამართლიანი ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

კომპანია, მისი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, ოპერირებს მრავალრიცხოვან საწარმოებთან, რომლებიც ან კონტროლირდება, ერთობლივად კონტროლირდება, ან სქართველოს ან რუსეთის მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშაა. კომპანიამ აირჩია გამოეყენებინა ასს 24-დან გამონაკლისი, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიას შემცირებულად წარმოადგინოს ისეთ დაკავშირებულ მარეებთან ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებული არიან მთავრობასთან. სახელმწიფოსთან დაკავშირებული ოპერაციები ასევე მოიცავს გადასახადებს, ნეტო საგადასახადო პოზიცია ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანსაქციები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებიდან	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებულ მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი				
FGC UES PJSC	3,364	-	638	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები				
სს თელასი	8,257	-	768	-
სხვა საწარმოები	1,057	-	3	-

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შემოსავალი მოკავშირე მხარეებიდან	შესყიდვები/ხარჯები მოკავშირე მხარეებისგან	მოკავშირე მხარეების მიმართ მოთხოვნები	მოკავშირე მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი				
FGC UES PJSC	1,689	-	930	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები				
სს თელასი	4,998	-	494	-
სხვა საწარმოები	664	-	2	-

2015 წელს, კომპანიასა და სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას (FGC UES PJSC) შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, კავკასიონის გადამცემი ხაზის იჯარასა და ექსპლუატაციაზე, რომელიც მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. საიჯარო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვარს. სულ, კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი წარმოადგენს გადამცემი ხაზის იჯარიდან და შეკეთებისა და ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალს.

ხელმძღვანელობა ადგენს, რომ სხვა შემოსავლისა და ხარჯების საერთო თანხები და სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან დაკავშირებული შემოსავლები არ არის არსებითი.

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელი პირებს წარმოადგენს გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილეები. სულ, ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, რომელიც აღრიცხულია სახელფასო ხარჯებში შეადგენს 1,333 ათას ლარს (2017 წელს 1,382 ათასი). ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადად მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს და საოპერაციო შედეგების მიხედვით გაცემულ პრემიას.

2018 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას აქვს გრძელვადიანი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები მისი აქციონერის მიმართ (შენიშვნა 20).

წილობრივი კაპიტალისა და დივიდენდების გავრცელების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 12-ში.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზები	სამანქანო დანადგარები და სხვა მოწყობილობები	ავტომობილები	საოფისე და სხვა მოწყობილობები	სათადარიგო ნაწილები	CIP*	სულ
თვითღირებულება								
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	665	87,541	5,451	5,325	695	3,572	1,966	105,215
შემოსვლა	85	1,024	1,354	800	633	35	2,298	6,229
გასვლა	-	-	(12)	(569)	(314)	(112)	-	(1,007)
ტრანსფერი	4,264	-	-	-	-	-	(4,264)	-
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	-	-	19	23	5	-	-	47
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,014**	**88,565**	**6,812**	**5,579**	**1,019**	**3,495**	**-**	**110,484**
შემოსვლა	41	-	1,310	993	415	105	-	2,864
გასვლა	(625)	-	(59)	(370)	(81)	(176)	-	(1,311)
ტრანსფერი	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,430**	**88,565**	**8,063**	**6,202**	**1,353**	**3,424**	**-**	**112,037**
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია								
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**287**	**23,157**	**2,051**	**1,925**	**455**	**-**	**-**	**27,875**
ცვეთის ხარჯი	56	2,270	569	550	134	-	-	3,579
გასვლა	-	-	(5)	(259)	(143)	-	-	(407)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**343**	**25,427**	**2,615**	**2,216**	**446**	**-**	**-**	**31,047**
ცვეთის ხარჯი	128	2,294	715	554	129	-	-	3,820
გასვლა	(361)	-	(109)	(252)	(61)	-	-	(783)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**110**	**27,721**	**3,221**	**2,518**	**514**	**-**	**-**	**34,084**
საბალანსო ღირებულება								
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,671	63,138	4,197	3,363	573	3,495	-	79,437
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,320**	**60,844**	**4,842**	**3,684**	**839**	**3,424**	**-**	**77,953**

(*) CIP – დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენების ვადა განსაზღვრულია 45 წელით, რისი საფუძველიც ხელმძღვანელობას ინდუსტრიის და გადამცემი ხაზების საოპერაციო პირობების ცოდნაზე დაყრდნობით აქვს.

სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს აქტივებს, რომელიც აუცილებელია გადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოებისთვის, საჭიროებისამებრ. აქტივები არ ცვდება, რადგან დამონტაჟებამდე არ არიან მზად გამოყენებისთვის.

9 მარაგები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	2,802	1,980
სხვა	473	316
მარაგები	**3,275**	**2,296**

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	4,042	2,209
სხვა ფინანსური მოთხოვნები	675	788
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**4,717**	**2,997**

სავაჭრო მოთხოვნა 638 ათასი ლარის ოდენობით (2017 წ. 1,459 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხების შემდგომ, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად რუსულ რუბლში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ში არსებულ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრულ სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდა საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე 36 თვით ადრე და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ამ პერიოდში ქონდა ადგილი. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირდება მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორს და გავლენას ახდენს მომხმარებლის უნარზე დაფაროს დებიტორული დავალიანებები. კომპანიამ იდენტიფიცირება გააკეთა რომ ყველაზე რელევანტური ფაქტორები მშპ და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსია ქვეყანაში, რომელშიც ის ყიდის მის მომსახურებას, და შესაბამისად, აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთს ამ ფაქტორების ცვლილებებზე დაყრდნობით.

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით რომელიც წარდგენილია ქვემოთ. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია პერსპექტიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ათასი ლარი	საკრედიტო ზარალის განაკვეთი	სულ საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სასიცოცხლო პერიოდზე
სავაჭრო მოთხოვნები			
- მიმდინარე	*0.01%*	2,727	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	*0.01%*	1,315	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები (სულ ბრუტო საბალანსო ღირებულება)		**4,042**	**-**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-
სულ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების სავაჭრო მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)			
სხვა მოთხოვნები			
- მიმდინარე	*0.01%*	675	-
სულ სხვა მოთხოვნები		675	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)		**4,717**	**-**

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის

ათასი ლარი	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული		
- საბითუმო მყიდველი	2,209	-
- სხვა მოთხოვნები	-	788
სულ არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული	**2,209**	**788**

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	11	13
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	3,963	5,027
საბანკო დეპოზიტები	15,731	2,731
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**19,705**	**7,771**

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (გაგრძელება)

საბანკო დეპოზიტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკში.

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბერის მდგომარეობით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	საბანკო დეპოზიტები
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული		
- სს VTB ბანკი - B რეიტინგით (2017: B რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	3,884	15,731
- სს ლიბერთი ბანკი - B რეიტინგით (2017: B რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	5	-
- სს სბერბანკი - BBB- (2017: BBB რეიტინგით) – Fitch-ის მიხედვით	74	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სალაროში ფულადი სახსრების გამოკლებით	**3,963**	**15,731**

12 სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი	ჩვეულებრივი აქციები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000

მთლიანი ავტორიზებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა არის 23,000 ათასი აქცია (2017: 23,000 აქცია) ნომინალური ღირებულებით 10 ლარი აქციაზე (2017: 10 ლარი აქციაზე). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად დაფარულია. ყველა ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს.

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში:

ათასი ლარი	2018	2017
1 იანვრისთვის გადასახდელი დივიდენდები	1,134	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	-	2,267
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(1,134)	(1,133)
1 იანვრისთვის გადასახდელი დივიდენდები	-	**1,134**
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები თითოეულ აქციაზე	-	**0.099**

ყველა დივიდენდი გამოცხადებულია ქართულ ლარში. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები, ასევე უფლება აქვთ კომპანიის შეხვედრებზე თითოეულ აქციაზე თითო ხმის დაფიქსირების.

12 სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 2,267 ათასი ქართული ლარის ოდენობით. 2017 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული დივიდენდის 50%, რაც შეადგენდა 1,133 ათას ლარს, გადაურიცხა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხოლო დარჩენილი 50% გადაურიცხა სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას 2018 წლის 18 მაისს (შენიშვნა 13).

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათასი ლარი	**2018**	**2017**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	67	111
გადასახდელი დივიდენდები	-	1,134
სულ ფინანსური კრედიტორული დავალიანებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში AC-ით	***67***	***1,245***
სხვა კრედიტორული დავალიანება	410	375
სულ სხვა კრედიტორული დავალიანება	***410***	***375***
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბერს	**477**	**1,620**

იხილეთ შენიშვნა 23 ფინანსური ვალდებულების ყველა კლასისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2018 წ. 1 იანვრიდან"

ათასი ლარი	**2018**	**2017**
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	31,323	17,018
შემოსავლები გადამცემი ხაზების იჯარიდან	2,322	851
სულ შემოსავალი	**33,645**	**17,869**

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გადაცემის და გადამცემი ხაზების იჯარიდან. შემოსავალი გადამცემი ხაზის იჯარიდან მიიღება ერთ პარტნიორისგან, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემების ფედერალური ქსელური კომპანიისგან.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების დაყოფა.

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამოიანგარიშება სემეკი-ს მიერ მიღებული გადაცემის და მიწოდების ტარიფის შესაბამისად. კომპანია შემოსავალს იღებს დროის განმავლობაში მომსახურების დაკმაყოფილებით, შემდეგი მომსახურების სახეების მიხედვით:

14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით (გაგრძელება)

ათასი ლარი	2018	2017
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან საქართველოში	29,684	15,726
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	1,636	1,234
შემოსავალი ელექტროენერგიის ტრანზიტიდან	3	58
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**31,323**	**17,018**

2018 წლის 1 იანვრიდან, ერთი კილოვატი ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი 0.0018-დან 0.0027-ლარამდე გაიზარდა. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები სემეკის მიერ არის დადგენილი.

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით, რომელიც ძალაში იყო 2018 წ. 1 იანვრამდე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება შემოსავლების ანალიზისგან კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წ. 1 იანვრის შემდეგ. კერძოდ, ახალი შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით შემოსავლები ელექტროენერგიის გადაცემიდან, ექსპორტიდან და ტრანზიტიდან გაერთიანდა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლებში.

15 სხვა ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
ტრანსპორტირება და საწვავი	454	462
მივლინებების ხარჯები	414	454
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	386	414
დაზღვევის ხარჯები	283	164
პროფესიული მომსახურება	275	174
წარმომადგენლობითი და საკონფერენციო ხარჯები	197	143
იჯარის ხარჯი	185	254
საოფისე ხარჯები	156	171
სოციალური	132	121
სხვა ხარჯები	1,207	1,253
სულ სხვა ხარჯები	**3,689**	**3,610**

16 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2018	2017
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,043	839
სხვა	483	755
სულ სხვა შემოსავალი	**1,526**	**1,594**

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც მიღებულია სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალური ქსელური კომპანიისგან გადამცემ ხაზებზე სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისთვის (შენიშვნა 7).

17 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, ნეტო	601	-
სულ მოგება ზარალში აღიარებული ფინანსური ხარჯები	**601**	**-**

18 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	1,143	899
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, ნეტო	-	289
სულ მოგება ზარალში აღიარებული ფინანსური შემოსავალი	**1,143**	**1,188**

19 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯები წარმოადგენს 15/85 მფლობელისთვის გადახდილ დივიდენდზე.

20 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო გარჩევა. ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქნას პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

20 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახდო წელი საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხილვისთვის ღია რჩება მომდევნო 3 კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო დიდხანს. ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა ქვეყნებში.

საოპერაციო იჯარის ვალდებულება როდესაც კომპანია არის მოიჯარე, მაშინ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში შემდეგია

ათასი ლარი	**2018**
არაუგვიანეს 1 წლისა	64
1 წლის შემდგომ და არაუგვიანეს 5 წლისა	258
5 წლის შემდგომ	2,462
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულება 31 დეკემბერს	**2,784**

2013 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ ხელი მოაწერა აღნაგობის შეთანხმებას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან 49 წლის ვადით.

2018 წლის აგვისტოში, კომპანიამ ხელი მოაწერა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან სასაწყობო მიწის იჯარაზე, 44 წლის ვადით.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის პარტნიორი მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და წარმოიქმნება ასევე კომპანიის მომხმარებლების დებიტორული დავალიანებებისგან.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ლიმიტები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან, გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. კომპანიის მომხმარებლებზე დაფუძნებულ დემოგრაფიას, რომელიც მოიცავს იმ ინდუსტრიის, რომელშიც კომპანია მოღვაწეობს დეფოლტის რისკს, საკრედიტო რისკზე ნაკლები გავლენა აქვს. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რისი მიხედვითაც ყველა ახალი მომხმარებელი განიხილება ინდივიდუალურად კრედიტუნარიანობაზე მანამ, სანამ მათ, კომპანიის სტანდარტულ გადახდებისა და მიწოდების პირობებს არ შესთავაზებენ. კომპანიის განხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, როცა ისინი ხელმისაწვდომია, და გარკვეულ შემთხვევებში საბანკო რეკვიზიტებს. კომპანიის ბრუნვის დაახლოებით 52% (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 45%) შესაძლებელია მიეწეროს ერთ მომხმარებელს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთ წელში. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს, რომლებშიც ის ყიდის თავის მომსახურებას.2018 წ. 31 დეკემბრის და 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი კლიენტებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და მათ შესაბამის წილობრივ წონას საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციის მიხედვით. კომპანიის მოვალეების ისტორიულ ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ გამოავლინა, რომ მშპ და ვალუტის გაცვლითი კურსები ყველაზე ყველაზე რელევანტური ფაქტორებია, რაც მოქმედებს დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე და შესაბამისად, მორგებულია ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

კომპანია რეგულარულად განიხილავს მეთოდოლოგიასა და ვარაუდებს ფაქტობრივ საკრედიტო ზარალსა და შეფასებებს შორის სხვაობის შესამცირებლად.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 10)		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4,042	2,209
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 11)		
- მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	3,963	5,027
- საბანკო დეპოზიტები	15,731	2,731
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკები 31 დეკემბრისთვის	**23,736**	**9,967**

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთები და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი.. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის ადგილზე მართვის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს ამ რისკს კომპანიის ბიზნესისთვის მნიშვნელოვნად. თუმცა, ახალი სესხების და კრედიტების აღმოცენების დროს, ხელმძღვანელობა იყენებს მის განსჯას იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი იქნება კომპანიისთვის უფრო მომგებიანი, ფიქსირებული თუ ცვლადი განაკვეთი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ვალდებულების შესრულების ვადამდე. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო ხარჯის გამომწვევი ვალდებულება, მხოლოდ მოთხოვნამდე გადახდას დაქვემდებარებული ნაშთები და საბანკო დეპოზიტებია საპროცენტო შემოსავლის გამომწვევი აქტივები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის დროს საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიას უწევს იმ ვალდებულებებთან თანხვედრა, რომლებიც ასოცირებულია იმ ფინანსურ ვალდებულებებთან, რომლებიც გვარდება სხვა ფინანსურ აქტივებში ფულის შეტანით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვასთან დაკავშირებით, არის ის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ის, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების შესასრულებლად მაშინ, როცა საჭიროა, ორივე, ნორმალურ და სტრესულ პირობებში, მიუღებელი ზარალის და კომპანიის რეპუტაციისთვის სარისკო ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა რეგულარულად ადევნებს თვალყურს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველთვიურ პროგნოზებს. კომპანიამ ჩამოაყალიბა ახალი, ყოველწლიური დაბიუჯეტების პროცესი აქციონერებთან ერთად. ბიუჯეტი განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მტკიცდება აქციონერების მიერ. ბიუჯეტი ახლდება ყოველთვიურად ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. ვადიანობის ცხრილში გამოვლინებული თანხები სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებია. ასეთი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება დამყარებულია დისკონტირებულ ფულადი სახსრების ნაკადზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 წ. 31 დეკემბრისთვის ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	477	-	-	-	-	477
სულ სამომავლო გადახდები, რომლებიც მოიცავს სამომავლო ძირითად თანხებსა და საპროცენტო გადახდებს	**477**	**-**	**-**	**-**	**-**	**477**

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2017 წ. 31 დეკემბრისთვის ასეთია:

ათასი ლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	1,620	-	-	-	-	1,620
სულ სამომავლო გადახდები, რომლებიც მოიცავს სამომავლო ძირითად თანხებსა და საპროცენტო გადახდებს	**1,620**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,620**

22 კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი რათა დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები. ეს მიიღწევა ეფექტური ფულის მართვით, კომპანიის ბრუნვების და მოგების მუდმივი მონიტორინგით, ძირითადად კომპანიის ფულადი სახსრების ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით. ამ ზომების მიღებით, კომპანია მიზნად ისახავს მოგების მდგრად ზრდას. წლის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომებში.

კომპანია არ ექვემდებარება რაიმე გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას.

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომლისთვისაც, სამართლიანი ღირებულება გამოვლენილია. სამართლიანი ღირებულების იერარქია და საბალანსო ღირებულება, რომელთა მიხედვით ხდება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2018 წ. 31 დეკემბერი				2017 წ. 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	დონე 1 სამართლიანი ღირებულება	დონე 2 სამართლიანი ღირებულება	დონე 3 სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით								
- ფული და ფული ექვივალენტები	19,705	-	-	19,705	7,771	-	-	7,771
- სავაჭრო მოთხოვნები	-	4,042	-	4,042	-	2,209	-	2,209
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები	-	675	-	675	-	788	-	788
სულ აქტივები	**19,705**	**4,717**	**-**	**24,422**	**7,771**	**2,997**	**-**	**10,768**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	477	-	477	-	1,620	-	1,620
სულ ვალდებულებები	**-**	**477**	**-**	**477**	**-**	**1,620**	**-**	**1,620**

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებები სამართლიანი ღირებულებების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებზე დადგინდა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების ღირებულების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრა განსაზღვრული ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დადგენილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ვალდებულებები .

დადგენილი დაფარვის ვადებით დადგენილი სამართლიანი ღირებულების ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

24 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები შედის თავდაპირველ სამართლიან ღირებულებაში, შემდგომ ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში.

2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასებისთვის ფასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“-მ, ფინანსურ აქტივებს კლასიფიკაცია მისცა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები შედის სესხების და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გადავიდა ამორტიზირებულ ღირებულებაში.

25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები. 2018 წლის 29 ივნისს, ხელმძღვანელობამ აქციონერების გენერალური სხდომას მიმართა, ჩვეულებრივ აქციებზე 600 ათასი ლარის ოდენობით (300 ათასი ლარი თითოეულ აქციონერს) დივიდენდის განაწილების შესახებ. სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ მიემართათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილ კომიტეტისთვის (კომიტეტი) დივიდენდის განაწილების დასამტკიცებლად. 2018 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დივიდენდის განაწილების დასამტკიცებლად მიმართა კომიტეტს, თუმცა, ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, მიმართვა ჯერ კიდევ განხილვის სტადიაში იყო.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული პერიოდის გამოყენებადი სააღრიცხვო პოლიტიკა ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით და წარმოადგენს შემდგომს:

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები, მათ კლასიფიკაციაზე დამოკიდებულებით გატარებულია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით ისე, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივებს აქვთ შემდეგი კატეგორიები:(ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) გასაყიდად ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არის არაკვოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, მათ გარდა, რომლებიც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, რომ ახლო მომავალში გაყიდოს. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები შედგება „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა“ და „ფული და ფულის ექვივალენტებისგან“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს“ და „დივიდენდების კრედიტორულ დავალიანებებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია შემოსავლებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, შემოსავლები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

მომსახურების გაყიდვები-ელექტროენერგიის გადაცემა. მომსახურების გაყიდვა აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება არის გაწეული. ელექტროენერგიის გადაცემის საფასური ეფუძნება კომპანიის გადამცემი ხაზების გავლით გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობას და შესაბამის ტარიფს.

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

საქრუსენერგო

მმართველობითი ანგარიში

2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს ხელმძღვანელობას და აქციონერებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 1 აპრილი, წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის ანგარიშის თარიღს და არ მოიცავს მმართველობით ანგარიშზე ჩვენს დასკვნას, რომლის თარიღია 2019 წლის 18 ივლისი.

თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

"საქრუსენერგო"

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო" (შემდგომში „კომპანია") დაფუძნდა 1996 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასა და სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის" (РАО «ЕЭС Россия»-ს) შორის ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე.

„კომპანიის" აქციონერები არიან: საქართველოს სახელმწიფო, რომლის საკუთრებაშია საზოგადოების აქციათა 50% და რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და რუსეთის ფედერაციის მხრიდან - საჯარო სააქციო საზოგადოება „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფედერალური საქსელო კომპანია" (ПАО «ФСК ЕЭС»), რომლის საკუთრებაშია საზოგადოების აქციათა 50%.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორი.

„კომპანია" ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 500, 330 და 220 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის სისტემათაშორის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვტ ეგხ "კავკასიონს", საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვტ ეგხ "მუხრანის ველს" და 330 კვტ ეგხ "გარდაბანს", საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 220 კვტ ეგხ "აჭარას". ასევე, შიდა სასისტემო 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებს: "იმერეთს", "ქართლი-1"-ს, "ქართლი-2"-ს, "მუხრანს" და „ასურეთს".

სს გეს „საქრუსენერგოს" საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება. იმის გათვალისწინებით, რომ ეგხ გადის რთულ გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ კლიმატურ არეალში, გადამცემი ხაზის ავარიული გამორთვები ძირითადად განპირობებულია ატმოსფერული დაცლებით. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეგხ „კავკასიონი" არ არის აღჭურვილი თანამედროვე სწრაფმოქმედი დაცვებით, ერთფაზა და სამფაზა ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობებით. ეგხ „კავკასიონის" ავარიული გამორთვების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გამორთვების 90%-ზე მეტი გარდამავალი ერთფაზა მოკლე შერთვაა და ხაზზე ზემოაღნიშნული დაცვებისა და ავტომატიკის მოწყობილობების არსებობის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ეგხ-ს სამივე ფაზის გამორთვა და პარალელური მუშაობის რეჟიმის დარღვევა. 500 კვ ეგხ „კავკასიონზე" ქვესადგურ „ცენტრალნაიაში" დამონტაჟებულია "Multiline L60" ტიპის კარადა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი "Multiline L60" ტიპის დაცვის მოწყობილობა ვერ პასუხობს განხორციელებული კავშირის არხის მოთხოვნებს და 500 კვ ეგხ „კავკასიონისათვის" სარელეო დაცვების მოწყობა რეკომენდირებულია „ჯენერალ ელექტრიკის" ფირმის "Multiline L90" ტიპის დაცვის მოწყობილობებით, მაგრამ იგი საჭიროებს საპროექტო-სამიებო სამუშაოების ჩატარებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მივიღეთ დავალება, 500 კვ ეგხ „კავკასიონის" „ჯენერალ ელექტრიკის" წარმოების დაცვის სისტემებით აღჭურვის შესაძლებლობების შესწავლის თაობაზე (მათ შორის დაზიანების აღმოჩენის ხელსაწყოს), პროექტირებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაზე: მოწყობილობების შეძენაზე, მონტაჟზე, გაშვება-გაწყობაზე, ტესტირებაზე.

ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზების ღირებულება იქნება 600 000 ლარი (დღგ-ს გარეშე).

შიდა სასისტემო ელექტროგადამცემი ხაზები მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფაში: კერძოდ, "500 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით "იმერეთით", „ენგურჰესში" გამომუშავებული ელექტროენერგია ქვესადგური "ზესტაფონი-500"-ის გავლით და 500 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით "ქართლი-2"-ითა და "ქართლი-1"-ით გადაიცემა აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროგადამცემ ხაზებს ექსპლუატაციას უწევს წალენჯიხაში, ზესტაფონში, ხაშურსა და თბილისში განლაგებული ოთხი საექსპლუატაციო-სარემონტო უბანი.

საზოგადოება ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებას ძირითადად ახორციელებს ქვეყნის შიგნით. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის №41 დადგენილებით ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებაზე განსაზღვრულია 0,00278 ლარი 1 კვტ.სთ-ზე.

ელექტროენერგიის იმპორტის და ტრანზიტის დროს გადაცემის მომსახურებაზე ტარიფი დგინდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაწილეობის გარეშე.

2018 წელს „კომპანიამ" მიიღო 15,257 ათასი ლარის წმინდა მოგება, ხოლო 2019 წლისთვის დაგეგმილია 14,220 ათასი ლარი მოგების მიღება. ეს დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ელექტროენერგიის გატარების ტარიფი 2018 წელს გაიზარდა 0,0018 ლარიდან 0,00278 ლარამდე.

„კომპანიის" EBITDA[1] 2018 წელს იყო 19,077 ათასი ლარი, 2019 წელს დაგეგმილია 18,859 ათასი ლარის მოგების მიღწევა.

რაც შეეხება ფულად სახსრებს, 2018 წლის ბოლოსათვის „კომპანიის" ბალანზე არსებული ფულადი სახსრები იყო 19,705 ათასი ლარი. 2019 წლის ბიზნეს გეგმის მიხედით „კომპანია" ვარაუდობს მის გაზრდას 34,097 ათას ლარამდე.

„კომპანიის" საქმიანობის ამოცანა და მიზანია:

- საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ელექტროენერგიის შეუფერხებელი გადაცემა, მათ შორის ტრანზიტული გადაცემის უზრუნველყოფა;
- მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა;

აღნიშნულის განხორციელებისათვის საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე, „კომპანია" მუდმივად ახორციელებს აუცილებელ პროფილაქტიკურ, სარეკონსტრუქციო, სარემონტო და აღდგენით სამუშაოებს. ელექტროგადამცემ ხაზებს ექსპლუატაციას უწევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებული საექსპლუატაციო-სარემონტო უბნები და ფილიალი რუსეთის ტერიტორიაზე. უბნები საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე დაკომპლექტებულია კვალიფიკაციური პერსონალით და აღჭურვილია გადამცემი ხაზის მომსახურებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების ხელსაწყო-იარაღებითა და სპეცტექნიკით.

1. EBITDA - მოცემული ფინანსური მაჩვენებელი გამოთვლილია შემდეგი ფორმულით: EBITDA = წლის მოგება + ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი

„კომპანიის“ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვტ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება. 500 კვტ ეგხ “კავკასიონით” შესაძლებელია რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა. ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დატვირთვა 700 მეგავატია. რუსეთის ტერიტორიაზე ეგხ „კავკასიონს“ ექსპლუატაციას უწევს „კომპანიის“ ყარაჩაევოს ფილიალი. კომპანიის ყარაჩაევოს ფილიალის ძირითადი საქმიანობაა ეგხ „კავკასიონის“ ხაზზე საჭირო სამუშაოების ჩატარება და მისი სამუშაო მგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა. ფილიალს სრულად კონტროლდება კომპანიის მიერ და მას არ აქვს რაიმე გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

500 კვ ეგხ „კავკასიონი“ „ენგურჰესიდან“ მდინარეების ენგურის, ნაკრას, კოდორის, კლიჩისა და ყუბანის ხეობების გავლით ჰკვეთს ხიდასა და ნახარის უღელტეხილებს, ყარაჩაევო-ჩერქეზეთისა და ადიღეის რესპუბლიკების ტერიტორიებს და კრასნოდარის მხარეში შედის 500 კვ ძაბვის ქვესადგურში “ცენტრალნაია“. გადამცემი ხაზის სიგრძე 405 კილომეტრია, მათ შორის რუსეთის ტერიტორიაზე 300 კილომეტრი. კავკასიონის მთავარ ქედზე იგი გადის რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ კლიმატურ არეალში.

ელექტროგადამცემი ხაზის ავარიული გამორთვა იწვევს საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და ელექტროენერგიის ხარისხის გაუარესებას. ავარიულ გამორთვებს ძირითადად იწვევს მთებიდან წამოსული ზვავების შედეგად გამოწვეული ჰაერის დარტყმითი ტალღები, რა დროსაც ზიანდება სადენები. ელექტროგადამცემი ხაზის საიმედოობის ამაღლებისათვის კოდორის ხეობაში გამავალ მონაკვეთზე აუცილებელი გახდა ზოგიერთი ანძის ზვავისაგან არიდება, რისთვისაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზვავსაშიშ ზონებში სადენების, ანძების ნაცვლად, მთებს შორის გაჭიმულ ბაგირებზე დაკიდების თაობაზე. აღნიშნულის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გადამცემი ხაზის საიმედოობა და უსაფრთხოება.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ ახლო მომავალში, გენერაციის ობიექტების მშენებლობასთან ერთად აუცილებელი გახდება გადამცემი ქსელის მნიშვნელოვანი განვითარება, როგორც მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ასევე შიდა სასისტემო, როგორც ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის, ასევე არსებულების მოდერნიზაციის გზით.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, „კომპანიას“ აღებული ქონდა ვალდებულება განეხორციელებინა: 500 კვტ ეგხ "მუხრანის" მიერთება ქვესადგური „მარნეული-500-ის სალტეზე და 500 კვტ ეგხ "მარნეული-აირუმის" მშენებლობა საქართველო-სომხეთის საზღვრამდე (ეგხ-ს სიგრძე - 37 კმ, მათ შორის ახალი ასაშენებელი 18,5 კმ). აღნიშნულის ფარგლებში 2016 წელს განვახორციელეთ 500 კვტ ეგხ "მუხრანის" მიერთება ქვესადგურ "მარნეული-500"-თან. აღნიშნულ გადამცემ ხაზს, რომლის სიგრძემ 56 კილომეტრი შეადგინა, ეწოდა ახალი დისპეტჩერული სახელი „ასურეთი“. გადამცემი ხაზი ერთმანეთთან აკავშირებს ქვესადგურებს „ქსანი-500“-სა და "მარნეული-500".

330 კვ ეგხ „გარდაბანი“ წარმოადგენს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 330 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1958 წელს და ერთმანეთთან აკავშირებს ქვესადგურებს „გარდაბანი-500“-სა (საქართველო) და „აღსტაფას“ (აზერბაიჯანი). ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 64 კილომეტრია, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე 21,1 კმ. ეგხ-ს ზღვრული დატვირთვაა 250 მგვტ. საქართველოს ტერიტორიაზე გადამცემი ხაზი მოიცავს 60 ანძას და მათზე დამონტაჟებულია ACO 480 მარკის ფოლად-ალუმინის სადენი.

დღეისათვის ეგხ-ს ტექნიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ანძები კოროზირებულია და საჭიროებს სრულ შეცვლას. ასევე სადენიც, ექსპლუატაციის ვადებიდან გამომდინარე ამოწურული აქვს მუშაობის რესურსი. შესაბამისად ეგხ-ს განახლებისათვის საჭიროა ყველა ანძისა და სადენის სრულად შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ საზოგადოებისათვის ტარიფის გაანგარიშებისას აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის ღირებულება არ გაითვალისწინა მისი ნულოვანი ნარჩენი ღირებულების გამო.

აზერბაიჯანულმა მხარე, თავის ტერიტორიაზე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე ამთავრებს ორჯაჭვა 330 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (ფაზაში 2xAC300 მარკის სადენით).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული გვაქვს თანხმობა 330 კვ ეგხ „გარდაბნის“ რეკონსტრუქციის თაობაზე მისი გაორჯაჭვიანების გზით. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2019-2029 წლების ათწლიან გეგმაში შეტანილია 330 კვ ეგხ „გარდაბანი-აღსტაფას“ (330 კვ ეგხ „გარდაბანი“) რეკონსტრუქცია მისი გაორჯაჭვიანების გზით და აღნიშნული პროექტის განმახორციელებელ და ახალი ორჯაჭვა 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის“ მფლობელ კომპანიად განსაზღვრულია სს გეს „საქრუსენერგო“.

სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.

330 კვ ეგხ „გარდაბნის“ რეკონსტრუქცია მისი გაორჯაჭვიანების გზით, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, პერსპექტივაში შექმნის სიმძლავრეთა 800 მგვტ-მდე მიმოცვლის შესაძლებლობას და აამაღლებს საქართველოს აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი რგოლის სინქრონული ოპერირების საიმედოობას.

2017 წლის ბოლოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ჩვენს „კომპანიას“ დაუდგინა ელექტროენერგიის გადაცემის ახალი ტარიფი, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა „კომპანიის“ შემოსავლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და იმედიანობის ამაღლებისათვის, გვაქვს შესაძლებლობა საკუთარი შემოსავლებითა და რესურსით საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში გარდა დაგეგმილი 500 კვტ ეგხ „მარნეული-აირუმისა“, რომლის მშენებლობის დაწყება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით გაჭიანურდა, განვახორციელოთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროექტი.

იმის გათვალისწინებით, რომ 500 კვტ ეგხ „კავკასიონი“ გადის რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ-კლიმატურ არეალში არცთუ შორეულ პერსპექტივაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს „კავკასიონის“ ალტერნატიული ელექტროგადამცემი ხაზის აშენება ქვესადგურ „ქსანი-500“-დან სტეფანწმინდამდე და დარიალის ხეობის გავლით ქვესადგურ „მოზდოკამდე“. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით და ეგხ „კავკასიონით“, რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანისა და თურქეთის ენერგეტიკულ ბაზრებს შორის შესაძლებელი იქნება 8-9 მილიარდ კვტ.სთ-მდე მოცულობის ელექტროენერგიით ვაჭრობა, რაც უზრუნველყოფს სიმძლავრეთა მიმოცვლის მაღალ საიმედოობას - ზაფხულში, საქართველოში გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტს და ზამთარში - მნიშვნელოვან მონაწილეობას ენერგოსისტემის დეფიციტის შევსებაში.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ „კომპანია“ 2017 წლამდე საქმიანობდა იჯარით აღებულ საოფისე ფართში და ასევე იჯარით აღებულ ტერიტორიაზე სადაც განთავსებული იყო „კომპანიის“ ბაზა - ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სამსახური, თბილისის საექსპლუატაციო სარემონტო უბანი, მძიმე ტექნიკის და მასალების საწყობი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანში, მარკ ბრონშტეინის ქ.#1-

ში გადმოგვეცა 7500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე განვახორციელეთ „კომპანიისათვის“ ოფისის და ბაზის მშენებლობა და იგი ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლის ივნისის თვეში. ასევე, 2018 წლის წლის ივლისის თვეში მიმდებარე ტერიტორიაზე გრძელვადიანი იჯარით გადმოგვეცა 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი - მასალებისა და მძიმე ტექნიკის განსათავსებლად, რომელზეც აშენდა ავტოპარკის და სპეცტექნიკის განსათავსებელი ნაგებობები.

ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებაში ყოფნის შეზღუდულ ვადებში „კომპანიის“ საქმიანობის ეფექტურობისა და ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლდა და შეივსო „კომპანიის“ სპეც ტექნიკის პარკი, მათ შორის მძიმე ტექნიკით, რომელთაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილება ქვეყანაში სტიქიური მოვლენებით შექმნილი პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოებში. „კომპანია“ კვლავაც მზად არის საჭიროების შემთხვევაში ცოცხალი ძალითა და ტექნიკით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნისათვის საჭირბოროტო და პრობლემატური საკითხების მოგვარებაში.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ელექტროგადამცემი ხაზების სწორი და უწყვეტი მუშაობა ისე, რომ არ შეუქმნას რაიმე საფრთხე გარემოს. ამჟამად კომპანიას არ გააჩნია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული პოლიტიკა. თუმცა მუდმივად უზრუნველყოფს ანძების მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავე/გაკაფვას, რათა ადგილი არ ქონდეს რაიმე შემთხვევას.

კომპანიის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანას წარმოადგენს საავარიო სიტუაციების თავიდან აცდენა. დასახული მიზნის მისაღწევად, „კომპანია“ გეგმავს: განაგრძოს საჭირო მოცულობის პროფილაქტიკური, სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება; საჭიროდ აყენებს მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების შესრულებას; ტექნიკური მომსახურების ორგანიზებას, მონაკვეთებზე მოწყობილობების და ენერგოსისტემის ობიექტების საიმედოდ მუშაობის მხარდასაჭერად.

ასევე, „კომპანიის“ ერთ-ერთ საკვანძო ამოცანად რჩება, ხარჯების ეკონომიურად მიზანშეწონილი პოლიტიკის მხარდაჭერა და მოგების გაზრდა. შრომის ნაყოფიერების ზრდა, თანამშრომლების ეფექტური მართვისა და ორგანიზაციის გზით. აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. აქტივების მოცულობის ზრდა და საზოგადოების დადებითი ფინანსური შედეგის ფორმირება.

„კომპანიის“ რისკებს მიეკუთვნება:

-დარგობრივი რისკი;

-საბაზრო რისკები. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში

-ფინანსური რისკი. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოება ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებას ძირითადად ახორციელებს ქვეყნის შიგნით, უცხოური ვალუტების კურსის მერყეობით

გამოწვეული რისკი უმნიშვნელოა. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში.

-სავალუტო რისკი: აღნიშნული რისკი „კომპანიის“ მხრიდან მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან ძირითადად საქმიანობა ხორციელდება ლარში.

-ფორს-მაჟორი. არ არის დამოკიდებული საზოგადოებაზე.

შენიშვნა: კომპანია არ იყო ჩართული კვლევებისა-ძიებისა და განვითარების (R&D) აქტივობებში 2018 წელს.

ბაჩანა სულაძე
გენერალური დირექტორი

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება....2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება....3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება....4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა....5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო....5
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა....6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები....15
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები....16
6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები....17
7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან....22
8 ძირითადი საშუალებები....24
9 მარაგები....25
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....25
11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები....26
12 სააქციო კაპიტალი....27
13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება....28
14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით....28
15 სხვა ხარჯები....29
16 სხვა შემოსავალი....30
17 ფინანსური ხარჯები....30
18 ფინანსური შემოსავალი....30
19 მოგების გადასახადი....30
20 პირობითი ვალდებულებები....30
21 ფინანსური რისკების მართვა....31
22 კაპიტალის მართვა....34
23 სამართლიანი ღირებულების შეფასება....35
24 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით....36
25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები....37
26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე....37

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს ხელმძღვანელობას და აქციონერებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”-ები) და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც მოიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“. მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის გაცემის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშს, როდესაც ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი, და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშის გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიში „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშში, გვევალება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ ასევე გამოვცემთ განახლებულ აუდიტორის ანგარიშს, სადაც ჩვენ ან განვაცხადებთ, რომ ზემოთხსენებულთან დაკავშირებით არაფერია მოსახსენებელი, ან აღვწერთ ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელსაც აღმოვაჩენთ მმართველობით ანგარიშში, კომპანიის და მისი გარემოებების ცოდნაზე დაყრდნობით, რომელიც აუდიტის პროცესში მოვიპოვეთ. ჩვენი განახლებული ანგარიში ასევე მოიცავს ჩვენს მოსაზრებას, რომელიც ეხება წინამდებარე აბზაცში ნახსენებ საკითხებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნაგანმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერსი საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2019 წლის 1 აპრილი
თბილისი, საქართველო

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	77,953	79,437
არამატერიალური აქტივები		330	78
სხვა აქტივები		1,006	441
სულ გრძელვადიანი აქტივები		**79,289**	**79,956**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	9	3,275	2,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	4,717	2,997
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		413	265
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	19,705	7,771
სულ მიმდინარე აქტივები		**28,110**	**13,329**
სულ აქტივები		**107,399**	**93,285**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	230,000	230,000
დამატებითი შენატანი კაპიტალში		2,185	2,185
დაგროვილი დეფიციტი		(125,263)	(140,520)
სულ კაპიტალი		**106,922**	**91,665**
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	477	1,620
სულ მიმდინარე ვალდებულებები		477	1,620
სულ ვალდებულებები		**477**	**1,620**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**107,399**	**93,285**

დამტკიცებულია გამოსაცემად 2019 წლის 1 აპრილს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

ბაჩანა სულაძე
გენერალური დირექტორი

მამუკა მენაღარიშვილი
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 38 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი	14	**33,645**	**17,869**
სხვა შემოსავალი	16	1,526	1,594
სახელფასო ხარჯები		(10,156)	(8,463)
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	(3,820)	(3,579)
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები		(2,791)	(1,576)
სხვა ხარჯები	15	(3,689)	(3,610)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**14,715**	**2,235**
ფინანსური შემოსავალი	18	1,143	1,188
ფინანსური ხარჯები	17	(601)	-
მოგება დაბეგვრამდე		**15,257**	**3,423**
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-	(265)
წლის მოგება		**15,257**	**3,158**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**15,257**	**3,158**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 38 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	დაგროვილი დეფიციტი	სულ კაპიტალი
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(141,411)**	**90,774**
წლიური მოგება		-	-	3,158	3,158
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის		-	-	3,158	3,158
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	-	(2,267)	(2,267)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(140,520)**	**91,665**
წლიური მოგება		-	-	15,257	15,257
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ სრული შემოსავალი 2017 წლისთვის		-	-	15,257	15,257
გამოცხადებული დივიდენდები	12	-	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**230,000**	**2,185**	**(125,263)**	**106,922**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 38 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		34,572	20,708
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(8,382)	(7,615)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,072)	(8,000)
მოგების გადასახადის დასაფარად გაღებული ფულადი სახსრები		(662)	(55)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**15,456**	**5,038**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(3,921)	(6,054)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		393	164
მიღებული პროცენტი		1,143	899
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(2,385)**	**(4,991)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
კომპანიის აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები	12, 13	(1,134)	(1,134)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(1,134)**	**(1,134)**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(3)	1
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	11	**7,771**	**8,857**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	11	**19,705**	**7,771**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია მე 5 დან 38 გვერდის ჩათვლით, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომპანია და მისი საქმიანობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფასს-თან შესაბამისობაში, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო"-სთვის (შემდგომში "კომპანია").

კომპანია წარმოადგენს ქართულ დახურულ სააქციო საზოგადოებას, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" შესაბამისად. კომპანია ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმო 1995 წლის მარტში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანების და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 22 აგვისტოს №504 ბრძანების შესაბამისად. კომპანიის დამრეგისტრირებელი ორგანო საბურთალოს რაიონის სასამართლოა და მისი სარეგისტრაციო ნომერია 211324468.

კომპანიის მფლობელები არიან საქართველოს სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (50%) (ყოფილი ენერგეტიკის სამინისტრო რომელიც ეკონომიკის სამინისტროს შეერწყა 2017 წლის 15 დეკემბერს) მიერ და რუსეთის ფედერაცია, რომელიც წარმოდგენილია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიის" (50%) (რუსეთის ფედერაციის ელექტროენერგიის გადაცემის საქსელო სისტემის ოპერატორი და მმართველი) მიერ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-7 შენიშვნაში.

კომპანიას აქვს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია, რომელიც გაცემულია 2000 წლის 23 თებერვალს უვადოდ.

ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფებს განსაზღვრავს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საკუთარი მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენებით ელექტროენერგიის გადაცემას საქართველოს ტერიტორიასა და მეზობელ ქვეყნებში, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. კომპანიის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების ნაწილი მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზები წარმოადგენენ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შორის სინქრონიზებული ელექტროენერგიის მიწოდების ქსელებს.

იურიდიული მისამართი და ბიზნესის წარმოების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია მარკ ბრონშტაინის ქუჩა. 1, 0178, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. ეს ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარადაა მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საოპერაციო გარემო საქართველოს ფარგლებშია. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის განსაზღვრულ მახასიათებლებს, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და ცვალებად ინტერპრეტირებას.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ზომების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება იწინასწარმეტყველოს ყველა ის განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შედეგობრივად რა ეფექტი, თუ ასეთი იქნება, შეიძლება ჰქონდეს მათ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ. ფასს 9 და ფასს 15 -ს მიღების შედეგად მიღებული ცვლილებების გარდა, რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად ესადაგება ყველა წარდგენილ პერიოდს, თუ არ არის სხვაგვარი მითითება. აღრიცხვის პოლიტიკის პრინციპები, ფინანსურ ინსტრუმენტებთან და ბრუნვის აღიარებასთან მიმართებაში რომელიც 2017 წლის 31 დეკემბრამდე იყო მიღებული , წარმოდგენილია შენიშვნა 26-ში.

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, ფასს-თან შესაბამისობაში მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასების გამოყენებას. ის, აგრეთვე, მოითხოვს ხელმძღვანელობისგან გამოიყენოს მისი მსჯელობა და კომპლექსურობა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებაში. ის ადგილები, სადაც მსჯელობისა და კომპლექსურობის მაღალი დონეა ჩართული, ან ის ადგილები, სადაც დასკვნები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, გამოვლენილია შენიშვნა 4-ში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა იმ ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ტრანზაქციები და ნაშთი. მონეტარული კაპიტალი და ვალდებულებები, რომელიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კონვერტირებულია ქართულ ლარში იმ დღის გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოური ვალუტის ტრანზაქციები აღრიცხულია იმ დღის ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, მოგება და ზარალი, რომელიც ამ ტრანზაქციების და უცხოურ ვალუტაში მონეტარული აქტივების და ვალდებულებების დაანგარიშების შედეგად დადგება, წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, „ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების“ ნაწილში.

წლის ბოლოს გაცვლითი კურსის კონვერტაცია არ ესადაგება არამონეტარულ საგნებს, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით, არამონეტარული საგნები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაშია გაზომილი, კონვერტირებულია იმ კურსის გამოყენებით, რომელიც დაფიქსირდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს. სამართლიანი ღირებულებით განსაზღვრული არამონეტარული საგნების უცხოური ვალუტა დაფიქსირდება, როგორც მოგება ზარალის სამართლიანი ღირებულების ნაწილი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსი, საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“)მიერ განსაზღვრული იყო ამერიკული დოლარი 1=2.6766 ქართულ ლარს და რუსული რუბლი 100= 3.8588 ქართულ ლარს (2017 წლის 31 დეკემბრის მგდომარეობა ასეთი იყო: ამერიკული დოლარი 1=2.5922 ქართულ ლარს და 100 რუბლი=4.4935 ლარს.) ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები გაცხადებულია ხარჯებში, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, მოთხოვნის მიხედვით. ძირითადი საშუალებების ფასი, 2010 წლის იანვრის მდგომარეობით, ფასს-ში გადასვლის დღეს, განსაზღვრული იყო მისი იმ თარიღით სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, როცა საჭიროა, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებები.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა. *მიწას, მიმდინარე მშენებლობას და სათადარიგო ნაწილებს ცვეთა არ ერიცხებათ.*

სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად, მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
შენობა-ნაგებობები	10 -დან45-მდე
ელექტრო გადამცემი ხაზები	25-დან 45-მდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-დან 10-მდე
ავტომობილები	3-დან 10-მდე
საოფისე და სხვა აღჭურვილობა	5-დან 10-მდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულება. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით, პატენტებით, სავაჭრო ნიშნებით და ლიცენზიებით.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, პატენტები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზია	2 -5 წელი

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნიათ და მზადაა გამოსაყენებლად, არ ერიცხება ამორტიზაცია და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებას განიხილავენ, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ამოღებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გასვლის დანახარჯებით და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც, ძირითადად, დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა ხდება (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები ყოველი საანგარიშგებო თარიღით განიხილება, შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ. იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კვოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კვოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები, ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება: (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი რესურსი).

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ტრანზაქციის დანახარჯები ზრდადი დანახარჯებია, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივები, შემცირებული ანარიცხებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის *("ECL")*.

დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის ბრუტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)

თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC).

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი",) თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი") ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს-მოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიას აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიას მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიას მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია იყენებს ფასს 9 -ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდება გადანაწილებული რისკის მახასიათებლების მიხედვით (დებიტორული დავალიანებები შეიძლება დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, საგირავნო უზრუნველყოფის და სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით).მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გადახდების პროფილებს ან ბოლო 360 თვის გაყიდვებს და ამ პერიოდისთვის გამოცდილ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთები მორგებულია იმაზე, რომ ასახოს მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაცია მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მომხმარებლის უნარზე, დაარეგულირონ დებიტორული დავალიანებები.

კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს რომლებშიც ყიდის პროდუქციას და მომსახურებას. რადგანაც დებიტორული დავალიანებები ძირითადად ადგილობრივი მომხმარებლებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და შესაბამის წილობრივ წონებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კომპანიის მოვალეების ისტორიული ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ დაადგინა, რომ მშპ და სავალუტო გაცვლითი კურსები ყველაზე რელევანტური ფაქტორია, რომელსაც გავლენა აქვს დებიტორული დავალიანებების აღდგენითობაზე და შესაბამისად მორგებულია ისტორიული ზარალის განაკვეთზე, რაც ეფუძნება მოსალოდნელ ცვლილებებს ამ ფაქტორში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას.. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებისა:

ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან მათ ფლობენ სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც პარტნიორი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. როდესაც კომპანია მოიჯარეა და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაეცემა კომპანიას მეიჯარის მიერ, მაშინ იჯარის მთლიანი გადახდები, იჯარის მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

გაურკვეველი სამომავლო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის.

საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) დებიტორული დავალიანებების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 ან 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელსაც 20% ან მეტი აქვთ დღგ დაუბეგრავი შემოსავალი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება, შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამატი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნა 25-ში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

შემოსავლის აღიარება.

შემოსავალი წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. შემოსავალი აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების დღგ-ს გარეშე

საქონლის გაყიდვა - ელექტროენერგიის გადაცემა. ელექტროენერგიის გადაცემის ფასი ეფუძნება კომპანიის ხაზების მეიერ გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობას და შესაბამის ფიქსირებულ ტარიფს. მიწოდებული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც მომსახურება იქნა გაწეული. შემოსავლის ვალდებულებების შესრულება მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე მიჩნეულ იქნა დაკმაყოფილებულად დროთა განმავლობაში, იმიტომ, რომ მომხმარებელი იღებს და იყენებს სარგებელს ერთდროულად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომხმარებლებს ეგზავნებათ ინვოისი ყოველთვიურად და მომსახურების გადახდა ხდება ინვოისის მიღების შემდგომ.

გადამცემი ხაზის იჯარიდან შემოსავალი მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახადს კომპანიის ხაზის გამოყენებისთვის. შემოსავალი აღიარებულია ყოველთვიურ საფუძველზე.

დაფინანსების ელემენტი. კომპანია არ მოელის ისეთი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდებიდან მომხმარებლის მიერ საფასურის გადახდას შორის პერიოდი შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელს. შედეგად, კომპანია არ ცვლის ოპერაციის ფასებს ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი გადახდილი იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის ან უფლებამოსილი პირების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და დაშვებების მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე დაშვებებს, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. დაშვებები, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რომელიც მოიცავს მეთოდოლოგიის, მოდელების და მონაცემების შენატანების განსაზღვრებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვის მეთოდოლოგიის დეტალები გამოვლენილია შენიშვნა 21-ში. დეფოლტის რეიტინგებს დიდი გავლენა აქვს საკრედიტო ზარალის ანარიცხებზე, ისევე, როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებზე. კომპანია რეგულარულად განიხილავს და ამტკიცებს მოდელებს და მოდელებში შენატანებს, რათა შეამციროს განსხვავება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და ფაქტობრივი საკრედიტო ზარალის გამოცდილებას შორის. კომპანიამ გამოიყენა პერსპექტიული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, უპირველესად მისი კუთვნილი მაკროეკონომიკური პროგნოზის მოდელის შედეგები. ყველაზე მნიშვნელოვანი წინდახედული ვარაუდები რომლებიც ურთიერთკავშირშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის დონესა და შეწონილობასთან არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადები. საკუთრების საგნების და ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადების დადგენა მსგავსი აქტივების შეფასებაზე დაყრდნობითაა შესაძლებელი.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მოიხმარება მათი გამოყენებისას. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორებიცაა ტექნოლოგიური დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებისგან მისაღები სარგებელის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ გამოყენებად ნივთებს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით დადგენილ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც აქტივებისგან ელიან კომპანიისთვის სარგებლის მოტანას. შემდეგი ფაქტორები არის უპირველესად გათვალისწინებული: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე და საექსპლუატაციო პროგრამაზე; და (გ) ტექნოლოგიური დაძველება, რომლებსაც საბაზრო პირობებში ცვლილებები იწვევს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადებში 10%-იანი ცვლილება, ხელმძღვანელობის შეფასებისგან, გამოიწვევს 2018 წლის ცვეთის შემცირებას ან გაზრდას 382 ათასი ლარით (2017: 385 ათასი ლარით).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები" - მიღება. კომპანიამ „ფასს" 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ აირჩია არ შეეცვალა შესადარისი ციფრები და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 26-ე შენიშვნაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია „ასს" 39-ის შესაბამისად შეფასებული თითოეული კომპანიის ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება და ახალი თანხები განსაზღვრულია „ფასს" 9-ის შემოღების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი.

	შეფასების კატეგორია		საბალანსო ღირებულება ასს 39-ის შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბერი	ფასს 9 -ს მიღების გავლენა ხელახლა შეფასება		საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის შესაბამისად, 2018 წ. 1 იანვარი
ათასი ლარი	**ასს 39**	**ფასს 9**		მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	სხვა	
ფული და ფულის ექვივალენტი	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	7,771	-	-	7,771
სხვა ფინანსური აქტივები						
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	2,209	-	-	2,209
- სხვა დებიტორული დავალიანებები	სესხები და დებიტორული დავალიანებები	AC	788	-	-	788
სულ სხვა ფინანსური აქტივები			**10,768**	**-**	**-**	**10,768**

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

(a) ფული და ფულის ექვივალენტები

11-ე შენიშვნაში გამჟღავნებული ფულისა და ფულის ეკვივალენტების ყველა კომპანია ხელახლა კლასიფიცირდა ასს 39-ის „სესხები და დებიტორული დავალიანების“ (“L&R”) კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბერს არსებული გაუფასურებისა და 2018 წლის 1 იანვარს არსებული საკრედიტო ზარალის ანარიცხის გადაანგარიშება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯერებულია გასული პერიოდის ანარიცხის საბოლოო ნაშთი, რომელიც შეფასებული იყო გაწეული ზარალის მოდელით, ასს 39-ის შესაბამისად, ახალ საკრედიტო ზარალის ანარიცხთან, რომელიც შეფასებულია მოსალოდნელი ზარალის მოდელით ფასს 9-ის შესაბამისად 2018 წლის 1 იანვარს:

ფასს 15-ის „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან” მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გადასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წ. 1 იანვარი).

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).

- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

- ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

გამოცემულ იქნა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის და რომლებიც კომპანიამ მანამდე არ შემოიღო.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს-ით 16 გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს-ით 16 არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის გამოიყენებს მის სავალდებულო კორექტირების თარიღს, 2019 წლის 1 იანვარს, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისობის ხელახლა გაცხადების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარისთვის იზომება გადასვლისას ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოიყენებოდა. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლებით იზომება იჯარის ვალდებულების თანხით დამტკიცებისას. (მორგებულია ყველა წინასწარგადახდილ ან დაგროვილ ხარჯებზე).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ვერ გაუქმებადი საიჯარო ვალდებულებები 2.809 ათასი ლარის ოდენობით. სხვა ვალდებულებები, დაახლოებით 25 ათასი ლარი მოკლევადიან იჯარებს ეხება, რომლებიც, ორივე, აღიარებული იქნება სწორხაზოვანი საფუძველით, როგორც ხარჯი მოგება ზარალში

საოპერაციო იჯარის ვალდებულებების თანხვედრაში მოყვანა აღიარებულ ვალდებულებასთან გამოვლენილია შენიშვნა 20-ში და არის შემდეგი:

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი 2019 წლის 1 იანვარი**
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის (შენიშვნა 20)	2,784
- ამჟამინდელი ღირებულების დისკონტის ეფექტი	(2,232)
სულ საიჯარო ვალდებულებები	**552**

დარჩენილი საიჯარო ვალდებულებისთვის კომპანია მოელის გამოყენების უფლებით აქტივების აღიარებას დაახლოებით 532 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 1 იანვარს, საიჯარო ვალდებულებებს 552 ათასი ლარის ოდენობით.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ჯამურად ნეტო აქტივები იქნება დაახლოებით 20 ათასი ლარით ნაკლები, და ნეტო მიმდინარე აქტივები იქნება 64 ათასი ლარით ნაკლები ვალდებულების ნაწილის მიმდინარე ვალდებულებად წარდგენის შედეგად.

კომპანია მოელის რომ ნეტო მოგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის დაიწევს დაახლოებით 12 ათასი ლარით ახალი წესების მიღების შედეგად. საოპერაციო ფულადი ნაკადები გაიზრდება და საფინანსო ფულადი ნაკადები დაიწევს დაახლოებით 65 ათასი ლარით, მაშინ, როცა საიჯარო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნება კლასიფიცირებული იქნება როგორც საფინანსო აქტივობების ფულადი ნაკადები.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ - (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ასს 12-ში მითითებულია, როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული, როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ასს 12-ში მოცემული აღიარებისა და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს, თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე, თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა ივარაუდოს, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია და შემოწმებისას მას ეცოდინება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ მოსალოდნელი არ არის საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით; ეს დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტებისა ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებზე ან შეფასებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ფაქტებისა და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს დაშვებების ან შეფასების ხელახლა შეფასება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან ქმედებებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება, ცალკე აღებული, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ დაშვებებსა და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის გავლენის შეფასებას.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაგალითად, სამართლიანი ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ასს 28 "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ასს 12-სა და ასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ახალი ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება, მაგ., მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

გადასინჯული ასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები თანხები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის არსებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილ გადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო სამართლიანი ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ასს 1-სა და ასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. კომპანია არ მოელის ახალი სტანდარტების მის ფინანსურ ანგარიშგებაზე რაიმე გავლენის მოხდენას.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

კომპანია, მისი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე, ოპერირებს მრავალრიცხოვან საწარმოებთან, რომლებიც ან კონტროლირდება, ერთობლივად კონტროლირდება, ან სქართველოს ან რუსეთის მთავრობის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშაა. კომპანიამ აირჩია გამოეყენებინა ასს 24-დან გამონაკლისი, რომელიც უფლებას აძლევს კომპანიას შემცირებულად წარმოადგინოს ისეთ დაკავშირებულ მარეებთან ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებული არიან მთავრობასთან. სახელმწიფოსთან დაკავშირებული ოპერაციები ასევე მოიცავს გადასახადებს, ნეტო საგადასახადო პოზიცია ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანსაქციები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შემოსავალი დაკავშირებულ მხარეებიდან	შესყიდვები/ხარჯები დაკავშირებულ მხარეებისგან	დაკავშირებული მხარეების მიმართ მოთხოვნები	დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი				
FGC UES PJSC	3,364	-	638	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები				
სს თელასი	8,257	-	768	-
სხვა საწარმოები	1,057	-	3	-

7 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	შემოსავალი მოკავშირე მხარეებიდან	შესყიდვები/ხარჯები მოკავშირე მხარეებისგან	მოკავშირე მხარეების მიმართ მოთხოვნები	მოკავშირე მხარეების მიმართ ვალდებულებები
პირდაპირი მშობელი				
FGC UES PJSC	1,689	-	930	-
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები				
სს თელასი	4,998	-	494	-
სხვა საწარმოები	664	-	2	-

2015 წელს, კომპანიასა და სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას (FGC UES PJSC) შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, კავკასიონის გადამცემი ხაზის იჯარასა და ექსპლუატაციაზე, რომელიც მდებარეობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. საიჯარო ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვარს. სულ, კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი წარმოადგენს გადამცემი ხაზის იჯარიდან და შეკეთებისა და ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავალს.

ხელმძღვანელობა ადგენს, რომ სხვა შემოსავლისა და ხარჯების საერთო თანხები და სხვა მთავრობასთან დაკავშირებულ საწარმოებთან დაკავშირებული შემოსავლები არ არის არსებითი.

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელი პირებს წარმოადგენს გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილეები. სულ, ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია, რომელიც აღრიცხულია სახელფასო ხარჯებში შეადგენს 1,333 ათას ლარს (2017 წელს 1,382 ათასი). ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია ძირითადად მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასს და საოპერაციო შედეგების მიხედვით გაცემულ პრემიას.

2018 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას აქვს გრძელვადიანი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები მისი აქციონერის მიმართ (შენიშვნა 20).

წილობრივი კაპიტალისა და დივიდენდების გავრცელების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 12-ში.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზები	სამანქანო დანადგარები და სხვა მოწყობილობები	ავტომობილები	საოფისე და სხვა მოწყობილობები	სათადარიგო ნაწილები	CIP*	სულ
თვითღირებულება								
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	665	87,541	5,451	5,325	695	3,572	1,966	105,215
შემოსვლა	85	1,024	1,354	800	633	35	2,298	6,229
გასვლა	-	-	(12)	(569)	(314)	(112)	-	(1,007)
ტრანსფერი	4,264	-	-	-	-	-	(4,264)	-
წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	-	-	19	23	5	-	-	47
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**5,014**	**88,565**	**6,812**	**5,579**	**1,019**	**3,495**	**-**	**110,484**
შემოსვლა	41	-	1,310	993	415	105	-	2,864
გასვლა	(625)	-	(59)	(370)	(81)	(176)	-	(1,311)
ტრანსფერი	-	-	-	-	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,430**	**88,565**	**8,063**	**6,202**	**1,353**	**3,424**	**-**	**112,037**
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია								
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**287**	**23,157**	**2,051**	**1,925**	**455**	**-**	**-**	**27,875**
ცვეთის ხარჯი	56	2,270	569	550	134	-	-	3,579
გასვლა	-	-	(5)	(259)	(143)	-	-	(407)
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**343**	**25,427**	**2,615**	**2,216**	**446**	**-**	**-**	**31,047**
ცვეთის ხარჯი	128	2,294	715	554	129	-	-	3,820
გასვლა	(361)	-	(109)	(252)	(61)	-	-	(783)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**110**	**27,721**	**3,221**	**2,518**	**514**	**-**	**-**	**34,084**
საბალანსო ღირებულება								
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,671	63,138	4,197	3,363	573	3,495	-	79,437
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**4,320**	**60,844**	**4,842**	**3,684**	**839**	**3,424**	**-**	**77,953**

(*) CIP – დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ელექტროგადამცემი ხაზების გამოყენების ვადა განსაზღვრულია 45 წელით, რისი საფუძველიც ხელმძღვანელობას ინდუსტრიის და გადამცემი ხაზების საოპერაციო პირობების ცოდნაზე დაყრდნობით აქვს.

სათადარიგო ნაწილები წარმოადგენს აქტივებს, რომელიც აუცილებელია გადამცემი ხაზების სარემონტო სამუშაოებისთვის, საჭიროებისამებრ. აქტივები არ ცვდება, რადგან დამონტაჟებამდე არ არიან მზად გამოყენებისთვის.

9 მარაგები

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი**	**2017 წლის 31 დეკემბერი**
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	2,802	1,980
სხვა	473	316
მარაგები	**3,275**	**2,296**

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი**	**2017 წლის 31 დეკემბერი**
სავაჭრო მოთხოვნები	4,042	2,209
სხვა ფინანსური მოთხოვნები	675	788
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**4,717**	**2,997**

სავაჭრო მოთხოვნა 638 ათასი ლარის ოდენობით (2017 წ. 1,459 ათასი ლარი), გაუფასურების ზარალის ანარიცხების შემდგომ, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად რუსულ რუბლში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ში არსებულ გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომელიც იყენებს სრულ სასიცოცხლო ვადაზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს, ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები დაჯგუფდა საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე 36 თვით ადრე და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ამ პერიოდში ქონდა ადგილი. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირდება მიმდინარე და პერსპექტიული ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორს და გავლენას ახდენს მომხმარებლის უნარზე დაფაროს დებიტორული დავალიანებები. კომპანიამ იდენტიფიცირება გააკეთა რომ ყველაზე რელევანტური ფაქტორები მშპ და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსია ქვეყანაში, რომელშიც ის ყიდის მის მომსახურებას, და შესაბამისად, აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთს ამ ფაქტორების ცვლილებებზე დაყრდნობით.

10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის განსაზღვრულია ანარიცხის მატრიცის მიხედვით რომელიც წარდგენილია ქვემოთ. ანარიცხის მატრიცა ეყრდნობა აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას და კორექტირებულია პერსპექტიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ათასი ლარი	საკრედიტო ზარალის განაკვეთი	სულ საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სასიცოცხლო პერიოდზე
სავაჭრო მოთხოვნები			
- მიმდინარე	*0.01%*	2,727	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილებით	*0.01%*	1,315	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები (სულ ბრუტო საბალანსო ღირებულება)		**4,042**	**-**
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-
სულ მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების სავაჭრო მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)			
სხვა მოთხოვნები			
- მიმდინარე	*0.01%*	675	-
სულ სხვა მოთხოვნები		675	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი		-	-
სულ სხვა მოთხოვნები (საბალანსო ღირებულება)		**4,717**	**-**

სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის

ათასი ლარი	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა ფინანსური მოთხოვნები
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული		
- საბითუმო მყიდველი	2,209	-
- სხვა მოთხოვნები	-	788
სულ არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული	**2,209**	**788**

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი**	**2017 წლის 31 დეკემბერი**
ფულადი სახსრები სალაროში	11	13
მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	3,963	5,027
საბანკო დეპოზიტები	15,731	2,731
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	**19,705**	**7,771**

11 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (გაგრძელება)

საბანკო დეპოზიტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები ბანკში.

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების საკრედიტო ხარისხი 31 დეკემბერის მდგომარეობით:

ათასი ლარი	მოთხოვნამდე ნაშთები ბანკში	საბანკო დეპოზიტები
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული		
- სს VTB ბანკი - B რეიტინგით (2017: B რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	3,884	15,731
- სს ლიბერთი ბანკი - B რეიტინგით (2017: B რეიტინგით) - S&P-ს მიხედვით	5	-
- სს სბერბანკი - BBB- (2017: BBB რეიტინგით) – Fitch-ის მიხედვით	74	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სალაროში ფულადი სახსრების გამოკლებით	**3,963**	**15,731**

12 სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვაგვარად არაა დადგენილი	ჩვეულებრივი აქციები
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით გამოშვებული, სრულად დაფარული	23,000,000

მთლიანი ავტორიზებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა არის 23,000 ათასი აქცია (2017: 23,000 აქცია) ნომინალური ღირებულებით 10 ლარი აქციაზე (2017: 10 ლარი აქციაზე). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულად დაფარულია. ყველა ჩვეულებრივ აქციას ერთი ხმის უფლება აქვს.

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში:

ათასი ლარი	**2018**	**2017**
1 იანვრისთვის გადასახდელი დივიდენდები	1,134	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	-	2,267
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(1,134)	(1,133)
1 იანვრისთვის გადასახდელი დივიდენდები	-	**1,134**
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები თითოეულ აქციაზე	**-**	**0.099**

ყველა დივიდენდი გამოცხადებულია ქართულ ლარში. ჩვეულებრივი აქციების მფლობელებს უფლება აქვთ დროდადრო მიიღონ დივიდენდები, ასევე უფლება აქვთ კომპანიის შეხვედრებზე თითოეულ აქციაზე თითო ხმის დაფიქსირების.

12 სააქციო კაპიტალი (გაგრძელება)

სამეთვალყურეო საბჭოს 2017 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილებით, კომპანიამ გამოაცხადა დივიდენდები 2,267 ათასი ქართული ლარის ოდენობით. 2017 წლის 25 დეკემბერს გამოცხადებული დივიდენდის 50%, რაც შეადგენდა 1,133 ათას ლარს, გადაურიცხა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხოლო დარჩენილი 50% გადაურიცხა სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალურ ქსელურ კომპანიას 2018 წლის 18 მაისს (შენიშვნა 13).

13 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

ათასი ლარი	**2018**	**2017**
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	67	111
გადასახდელი დივიდენდები	-	1,134
სულ ფინანსური კრედიტორული დავალიანებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში AC-ით	***67***	***1,245***
სხვა კრედიტორული დავალიანება	410	375
სულ სხვა კრედიტორული დავალიანება	***410***	***375***
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 31 დეკემბერს	**477**	**1,620**

იხილეთ შენიშვნა 23 ფინანსური ვალდებულების ყველა კლასისთვის სამართლიანი ღირებულების შესახებ.

14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2018 წ. 1 იანვრიდან“

ათასი ლარი	**2018**	**2017**
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	31,323	17,018
შემოსავლები გადამცემი ხაზების იჯარიდან	2,322	851
სულ შემოსავალი	**33,645**	**17,869**

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის გადაცემის და გადამცემი ხაზების იჯარიდან. შემოსავალი გადამცემი ხაზის იჯარიდან მიიღება ერთ პარტნიორისგან, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემების ფედერალური ქსელური კომპანიისგან.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების დაყოფა.

შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამოიანგარიშება სემეკი-სმიერ მიღებული გადაცემის და მიწოდების ტარიფის შესაბამისად. კომპანია შემოსავალს იღებს დროის განმავლობაში მომსახურების დაკმაყოფილებით, შემდეგი მომსახურების სახეების მიხედვით:

14 შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით (გაგრძელება)

ათასი ლარი	**2018**	**2017**
შემოსავალი ელექტროენერგიის გადაცემიდან საქართველოში	29,684	15,726
შემოსავალი ელექტროენერგიის ექსპორტიდან	1,636	1,234
შემოსავალი ელექტროენერგიის ტრანზიტიდან	3	58
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**31,323**	**17,018**

2018 წლის 1 იანვრიდან, ერთი კილოვატი ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფი 0.0018-დან 0.0027-ლარამდე გაიზარდა. ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფები სემეკის მიერ არის დადგენილი.

შემოსავლების ანალიზი კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით, რომელიც ძალაში იყო 2018 წ. 1 იანვრამდე მნიშვნელოვნად არ განსხვავდება შემოსავლების ანალიზისგან კატეგორიების მიხედვით, შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წ. 1 იანვრის შემდეგ. კერძოდ, ახალი შემოსავლების აღიარების მეთოდოლოგიის პრინციპების მიხედვით შემოსავლები ელექტროენერგიის გადაცემიდან, ექსპორტიდან და ტრანზიტიდან გაერთიანდა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლებში.

15 სხვა ხარჯები

ათასი ლარი	**2018**	**2017**
ტრანსპორტირება და საწვავი	454	462
მივლინებების ხარჯები	414	454
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	386	414
დაზღვევის ხარჯები	283	164
პროფესიული მომსახურება	275	174
წარმომადგენლობითი და საკონფერენციო ხარჯები	197	143
იჯარის ხარჯი	185	254
საოფისე ხარჯები	156	171
სოციალური	132	121
სხვა ხარჯები	1,207	1,253
სულ სხვა ხარჯები	**3,689**	**3,610**

16 სხვა შემოსავალი

ათასი ლარი	2018	2017
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	1,043	839
სხვა	483	755
სულ სხვა შემოსავალი	**1,526**	**1,594**

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან წარმოადგენს შემოსავალს, რომელიც მიღებულია სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის ფედერალური ქსელური კომპანიისგან გადამცემ ხაზებზე სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოებისთვის (შენიშვნა 7).

17 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018	2017
ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, ნეტო	601	-
სულ მოგება ზარალში აღიარებული ფინანსური ხარჯები	**601**	**-**

18 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	1,143	899
მოგება უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან, ნეტო	-	289
სულ მოგება ზარალში აღიარებული ფინანსური შემოსავალი	**1,143**	**1,188**

19 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯები წარმოადგენს 15/85 მფლობელისთვის გადახდილ დივიდენდზე.

20 პირობითი ვალდებულებები

სასამართლო გარჩევა. ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება წარმოიქნას პრეტენზიები კომპანიის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების საფუძველზე, მიაჩნია, რომ რაიმე არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება ამ პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომელიც გადააჭარბებს იმ ანარიცხებს, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაშია ასახული.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

20 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახდო წელი საგადასახადო უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხილვისთვის ღია რჩება მომდევნო 3 კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით საგადასახადო წელი შეიძლება ღია დარჩეს უფრო დიდხანს. ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე სხვა ქვეყნებში.

საოპერაციო იჯარის ვალდებულება როდესაც კომპანია არის მოიჯარე, მაშინ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ფარგლებში შემდეგია

ათასი ლარი	**2018**
არაუგვიანეს 1 წლისა	64
1 წლის შემდგომ და არაუგვიანეს 5 წლისა	258
5 წლის შემდგომ	2,462
სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულება 31 დეკემბერს	**2,784**

2013 წლის 12 აგვისტოს კომპანიამ ხელი მოაწერა აღნაგობის შეთანხმებას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან 49 წლის ვადით.

2018 წლის აგვისტოში, კომპანიამ ხელი მოაწერა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან სასაწყობო მიწის იჯარაზე, 44 წლის ვადით.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21 ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ, საოპერაციო და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, მაშინ, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს, მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის პარტნიორი მხარე ვერ შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და წარმოიქმნება ასევე კომპანიის მომხმარებლების დებიტორული დავალიანებებისგან.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიას მაქსიმალური საკრედიტო რისკი, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიას სამეურნეო საქმიანობის უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ლიმიტები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის ერთ პარტნიორთან, ან პარტნიორების ჯგუფთან, გეოგრაფიულ და ინდუსტრიის სეგმენტთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. კომპანიის მომხმარებლებზე დაფუძნებულ დემოგრაფიას, რომელიც მოიცავს იმ ინდუსტრიის, რომელშიც კომპანია მოღვაწეობს დეფოლტის რისკს, საკრედიტო რისკზე ნაკლები გავლენა აქვს. თუმცა, გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში. ხელმძღვანელობამ ჩამოაყალიბა საკრედიტო პოლიტიკა, რისი მიხედვითაც ყველა ახალი მომხმარებელი განიხილება ინდივიდუალურად კრედიტუნარიანობაზე მანამ, სანამ მათ, კომპანიის სტანდარტულ გადახდებისა და მიწოდების პირობებს არ შესთავაზებენ. კომპანიის განხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, როცა ისინი ხელმისაწვდომია, და გარკვეულ შემთხვევებში საბანკო რეკვიზიტებს. კომპანიის ბრუნვის დაახლოებით 52% (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 45%) შესაძლებელია მიეწეროს ერთ მომხმარებელს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიისგან და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო ხუთ წელში. კომპანია აანალიზებს იმ ქვეყნების მაკრო ფაქტორებს, რომლებშიც ის ყიდის თავის მომსახურებას.2018 წ. 31 დეკემბრის და 2018 წ. 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი კლიენტებისგანაა, კომპანიამ ანალიზი გაუკეთა საქართველოს მაკროეკონომიკურ სცენარებს და მათ შესაბამის წილობრივ წონას საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციის მიხედვით. კომპანიის მოვალეების ისტორიულ ქცევაზე დაყრდნობით, კომპანიამ გამოავლინა, რომ მშპ და ვალუტის გაცვლითი კურსები ყველაზე ყველაზე რელევანტური ფაქტორებია, რაც მოქმედებს დებიტორული დავალიანებების ამოღებაზე და შესაბამისად, მორგებულია ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთზე.

კომპანია რეგულარულად განიხილავს მეთოდოლოგიასა და ვარაუდებს ფაქტობრივ საკრედიტო ზარალსა და შეფასებებს შორის სხვაობის შესამცირებლად.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კლასის მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი	**2018 წლის 31 დეკემბერი**	**2017 წლის 31 დეკემბერი**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები (შენიშვნა 10)		
- სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	4,042	2,209
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 11)		
- მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკში	3,963	5,027
- საბანკო დეპოზიტები	15,731	2,731
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკები 31 დეკემბრისთვის	**23,736**	**9,967**

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთები და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი.. კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი სავალუტო რისკი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. კომპანიას არ აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკის ადგილზე მართვის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები, რადგან ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს ამ რისკს კომპანიის ბიზნესისთვის მნიშვნელოვნად. თუმცა, ახალი სესხების და კრედიტების აღმოცენების დროს, ხელმძღვანელობა იყენებს მის განსჯას იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი იქნება კომპანიისთვის უფრო მომგებიანი, ფიქსირებული თუ ცვლადი განაკვეთი, მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ვალდებულების შესრულების ვადამდე. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო ხარჯის გამომწვევი ვალდებულება, მხოლოდ მოთხოვნამდე გადახდას დაქვემდებარებული ნაშთები და საბანკო დეპოზიტებია საპროცენტო შემოსავლის გამომწვევი აქტივები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის დროს საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიას უწევს იმ ვალდებულებებთან თანხვედრა, რომლებიც ასოცირებულია იმ ფინანსურ ვალდებულებებთან, რომლებიც გვარდება სხვა ფინანსურ აქტივებში ფულის შეტანით. კომპანიის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვასთან დაკავშირებით, არის ის, რომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ის, რომ მას ყოველთვის ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების შესასრულებლად მაშინ, როცა საჭიროა, ორივე, ნორმალურ და სტრესულ პირობებში, მიუღებელი ზარალის და კომპანიის რეპუტაციისთვის სარისკო ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა რეგულარულად ადევნებს თვალყურს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის ყოველთვიურ პროგნოზებს. კომპანიამ ჩამოაყალიბა ახალი, ყოველწლიური დაბიუჯეტების პროცესი აქციონერებთან ერთად. ბიუჯეტი განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და მტკიცდება აქციონერების მიერ. ბიუჯეტი ახლდება ყოველთვიურად ფაქტობრივ შედეგებზე დაყრდნობით.

21 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს ვალდებულებებს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. ვადიანობის ცხრილში გამოვლინებული თანხები სახელშეკრულებო არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებია. ასეთი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული თანხისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება დამყარებულია დისკონტირებულ ფულადი სახსრების ნაკადზე.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2018 წ. 31 დეკემბრისთვის ასეთია:

ათასი ლარი	**მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები**	**1-დან 3 თვემდე**	**3-დან 12 თვემდე**	**12 თვიდან 5 წლამდე**	**5 წელს ზემოთ**	**სულ**
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	477	-	-	-	-	477
სულ სამომავლო გადახდები, რომლებიც მოიცავს სამომავლო ძირითად თანხებსა და საპროცენტო გადახდებს	**477**	**-**	**-**	**-**	**-**	**477**

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2017 წ. 31 დეკემბრისთვის ასეთია:

ათასი ლარი	**მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები**	**1-დან 3 თვემდე**	**3-დან 12 თვემდე**	**12 თვიდან 5 წლამდე**	**5 წელს ზემოთ**	**სულ**
ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 13)	1,620	-	-	-	-	1,620
სულ სამომავლო გადახდები, რომლებიც მოიცავს სამომავლო ძირითად თანხებსა და საპროცენტო გადახდებს	**1,620**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,620**

22 კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი რათა დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებები. ეს მიიღწევა ეფექტური ფულის მართვით, კომპანიის ბრუნვების და მოგების მუდმივი მონიტორინგით, ძირითადად კომპანიის ფულადი სახსრების ნაკადებით დაფინანსებული გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით. ამ ზომების მიღებით, კომპანია მიზნად ისახავს მოგების მდგრად ზრდას. წლის განმავლობაში არ მომხდარა რაიმე ცვლილება კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომებში.

კომპანია არ ექვემდებარება რაიმე გარე სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას.

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომელიც არ იზომება სამართლიანი ღირებულებით მაგრამ, რომლისთვისაც, სამართლიანი ღირებულება გამოვლენილია. სამართლიანი ღირებულების იერარქია და საბალანსო ღირებულება, რომელთა მიხედვით ხდება სამართლიანი ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2018 წ. 31 დეკემბერი				**2017 წ. 31 დეკემბერი**			
ათასი ლარი	**დონე 1 სამართლიანი ღირებულება**	**დონე 2 სამართლიანი ღირებულება**	**დონე 3 სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**	**დონე 1 სამართლიანი ღირებულება**	**დონე 2 სამართლიანი ღირებულება**	**დონე 3 სამართლიანი ღირებულება**	**საბალანსო ღირებულება**
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები AC-ით								
- ფული და ფულის ექვივალენტები	19,705	-	-	19,705	7,771	-	-	7,771
- სავაჭრო მოთხოვნები	-	4,042	-	4,042	-	2,209	-	2,209
- სხვა სავაჭრო მოთხოვნები	-	675	-	675	-	788	-	788
სულ აქტივები	**19,705**	**4,717**	**-**	**24,422**	**7,771**	**2,997**	**-**	**10,768**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	477	-	477	-	1,620	-	1,620
სულ ვალდებულებები	**-**	**477**	**-**	**477**	**-**	**1,620**	**-**	**1,620**

23 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებები სამართლიანი ღირებულებების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებზე დადგინდა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების ღირებულების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრა განსაზღვრული ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების დადგენილი სამართლიანი ღირებულება ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. დისკონტის განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზირებულ ღირებულებაში გატარებული ვალდებულებები .

დადგენილი დაფარვის ვადებით დადგენილი სამართლიანი ღირებულების ინსტრუმენტების ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ეფუძნება დადგენილ სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომლებიც მოსალოდნელია, რომ მიღებული იყოს დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომლებსაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

24 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა, შეფასების კატეგორიის მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (a) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (b) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები შედის თავდაპირველ სამართლიან ღირებულებაში, შემდგომ ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში.

2017 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასებისთვის ფასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები, აღიარება და შეფასება“-მ, ფინანსურ აქტივებს კლასიფიკაცია მისცა შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) დაფარვის ვადამდე ფლობილად კლასიფიცირებული. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები შედის სესხების და დებიტორული დავალიანებების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გადავიდა ამორტიზირებულ ღირებულებაში.

25 ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები. 2018 წლის 29 ივნისს, ხელმძღვანელობამ აქციონერების გენერალური სხდომას მიმართა, ჩვეულებრივ აქციებზე 600 ათასი ლარის ოდენობით (300 ათასი ლარი თითოეულ აქციონერს) დივიდენდის განაწილების შესახებ. სხდომაზე შეთანხმდნენ, რომ მიემართათ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების წმინდა მოგების განაწილების მიზნით შექმნილ კომიტეტისთვის (კომიტეტი) დივიდენდის განაწილების დასამტკიცებლად. 2018 წლის 12 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ დივიდენდის განაწილების დასამტკიცებლად მიმართა კომიტეტს, თუმცა, ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, მიმართვა ჯერ კიდევ განხილვის სტადიაში იყო.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

2017 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული პერიოდის გამოყენებადი სააღრიცხვო პოლიტიკა ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით და წარმოადგენს შემდგომს:

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები, მათ კლასიფიკაციაზე დამოკიდებულებით გატარებულია სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით ისე, როგორც ქვემოთაა აღწერილი.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსურ აქტივებს აქვთ შემდეგი კატეგორიები:(ა) სესხები და მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით. სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი შეფასებისას, და (ii) გასაყიდად ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არის არაკვოტირებული არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული განსაზღვრული გადახდებით, მათ გარდა, რომლებიც კომპანიას გადაწყვეტილი აქვს, რომ ახლო მომავალში გაყიდოს. კომპანიის სესხები და დებიტორული დავალიანებები შედგება „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისა“ და „ფული და ფულის ექვივალენტებისგან“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს“ და „დივიდენდების კრედიტორულ დავალიანებებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია შემოსავლებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანიის თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, შემოსავლები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

26 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

მომსახურების გაყიდვები-ელექტროენერგიის გადაცემა. მომსახურების გაყიდვა აღიარებულია იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება არის გაწეული. ელექტროენერგიის გადაცემის საფასური ეფუძნება კომპანიის გადამცემი ხაზების გავლით გადაცემული ელექტროენერგიის რაოდენობას და შესაბამის ტარიფს.

სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

საქრუსენერგო

მმართველობითი ანგარიში

2018 წელი

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა

"საქრუსენერგო"

სააქციო საზოგადოება გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა "საქრუსენერგო" (შემდგომში „კომპანია") დაფუძნდა 1996 წლის 27 მაისს საქართველოს მთავრობასა და სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის" (РАО «ЕЭС России»-ს) შორის ენერგეტიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ დადებული შეთანხმების საფუძველზე.

„კომპანიის" აქციონერები არიან: საქართველოს სახელმწიფო, რომლის საკუთრებაშია საზოგადოების აქციათა 50% და რომლის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და რუსეთის ფედერაციის მხრიდან - საჯარო სააქციო საზოგადოება „ერთიანი ენერგეტიკული სისტემის ფედერალური საქსელო კომპანია" (ПАО «ФСК ЕЭС»), რომლის საკუთრებაშია საზოგადოების აქციათა 50%.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოებას ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო. საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს და მართავს გენერალური დირექტორი.

„კომპანია" ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 500, 330 და 220 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, მათ შორის სისტემათაშორის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვტ ეგხ "კავკასიონს", საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500 კვტ ეგხ "მუხრანის ველს" და 330 კვტ ეგხ "გარდაბანს", საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 220 კვტ ეგხ "აჭარას". ასევე, შიდა სასისტემო 500 კვ ელექტროგადამცემ ხაზებს: "იმერეთს", "ქართლი-1"-ს, "ქართლი-2"-ს, "მუხრანს" და „ასურეთს".

სს გეს „საქრუსენერგოს" საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება. იმის გათვალისწინებით, რომ ეგხ გადის რთულ გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ კლიმატურ არეალში, გადამცემი ხაზის ავარიული გამორთვები ძირითადად განპირობებულია ატმოსფერული დაცლებით. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ეგხ „კავკასიონი" არ არის აღჭურვილი თანამედროვე სწრაფმოქმედი დაცვებით, ერთფაზა და სამფაზა ავტომატური განმეორებითი ჩართვის მოწყობილობებით. ეგხ „კავკასიონის" ავარიული გამორთვების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ გამორთვების 90%-ზე მეტი გარდამავალი ერთფაზა მოკლე შერთვაა და ხაზზე ზემოაღნიშნული დაცვებისა და ავტომატიკის მოწყობილობების არსებობის შემთხვევაში თავიდან იქნებოდა აცილებული ეგხ-ს სამივე ფაზის გამორთვა და პარალელური მუშაობის რეჟიმის დარღვევა. 500 კვ ეგხ „კავკასიონზე" ქვესადგურ „ცენტრალნაიაში" დამონტაჟებულია "Multiline L60" ტიპის კარადა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი "Multiline L60" ტიპის დაცვის მოწყობილობა ვერ პასუხობს განხორციელებული კავშირის არხის მოთხოვნებს და 500 კვ ეგხ „კავკასიონისათვის'' სარელეო დაცვების მოწყობა რეკომენდირებულია „ჯენერალ ელექტრიკის" ფირმის "Multiline L90" ტიპის დაცვის მოწყობილობებით, მაგრამ იგი საჭიროებს საპროექტო-სამიებო სამუშაოების ჩატარებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მივიღეთ დავალება, 500 კვ ეგხ „კავკასიონის" „ჯენერალ ელექტრიკის" წარმოების დაცვის სისტემებით აღჭურვის შესაძლებლობების შესწავლის თაობაზე (მათ შორის დაზიანების აღმოჩენის ხელსაწყოს), პროექტირებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაზე: მოწყობილობების შეძენაზე, მონტაჟზე, გაშვება-გაწყობაზე, ტესტირებაზე.

ზემოაღნიშნული პროექტის რეალიზების ღირებულება იქნება 600 000 ლარი (დღგ-ს გარეშე).

შიდა სასისტემო ელექტროგადამცემი ხაზები მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების უზრუნველყოფაში: კერძოდ, "500 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზით "იმერეთით", „ენგურჰესში" გამომუშავებული ელექტროენერგია ქვესადგური "ზესტაფონი-500"-ის გავლით და 500 კვტ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით "ქართლი-2"-ითა და "ქართლი-1"-ით გადაიცემა აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს ტერიტორიაზე ელექტროგადამცემ ხაზებს ექსპლუატაციას უწევს წალენჯიხაში, ზესტაფონში, ხაშურსა და თბილისში განლაგებული ოთხი საექსპლუატაციო-სარემონტო უბანი.

საზოგადოება ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებას ძირითადად ახორციელებს ქვეყნის შიგნით. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის №41 დადგენილებით ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებაზე განსაზღვრულია 0,00278 ლარი 1 კვტ.სთ-ზე.

ელექტროენერგიის იმპორტის და ტრანზიტის დროს გადაცემის მომსახურებაზე ტარიფი დგინდება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაწილეობის გარეშე.

2018 წელს „კომპანიამ" მიიღო 15,257 ათასი ლარის წმინდა მოგება, ხოლო 2019 წლისთვის დაგეგმილია 14,220 ათასი ლარი მოგების მიღება. ეს დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ელექტროენერგიის გატარების ტარიფი 2018 წელს გაიზარდა 0,0018 ლარიდან 0,00278 ლარამდე.

„კომპანიის" EBITDA[1] 2018 წელს იყო 19,077 ათასი ლარი, 2019 წელს დაგეგმილია 18,859 ათასი ლარის მოგების მიღწევა.

რაც შეეხება ფულად სახსრებს, 2018 წლის ბოლოსათვის „კომპანიის" ბალანზე არსებული ფულადი სახსრები იყო 19,705 ათასი ლარი. 2019 წლის ბიზნეს გეგმის მიხედით „კომპანია" ვარაუდობს მის გაზრდას 34,097 ათას ლარამდე.

„კომპანიის" საქმიანობის ამოცანა და მიზანია:

- საკუთრებაში არსებული ელექტროგადამცემი ხაზების გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და უსაფრთხო ექსპლუატაცია;
- ელექტროენერგიის შეუფერხებელი გადაცემა, მათ შორის ტრანზიტული გადაცემის უზრუნველყოფა;
- მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეწყობა;

აღნიშნულის განხორციელებისათვის საკუთრებაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებზე, „კომპანია" მუდმივად ახორციელებს აუცილებელ პროფილაქტიკურ, სარეკონსტრუქციო, სარემონტო და აღდგენით სამუშაოებს. ელექტროგადამცემ ხაზებს ექსპლუატაციას უწევს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებული საექსპლუატაციო-სარემონტო უბნები და ფილიალი რუსეთის ტერიტორიაზე. უბნები საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე დაკომპლექტებულია კვალიფიკაციური პერსონალით და აღჭურვილია გადამცემი ხაზის მომსახურებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტების ხელსაწყო-იარაღებითა და სპეცტექნიკით.

1. EBITDA - მოცემული ფინანსური მაჩვენებელი გამოთვლილია შემდეგი ფორმულით: EBITDA = წლის მოგება + ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი

„კომპანიის“ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის, საქართველოსა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი 500 კვტ ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის“ გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება. 500 კვტ ეგხ “კავკასიონით” შესაძლებელია რუსეთის ენერგოსისტემასთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა. ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დატვირთვა 700 მეგავატია. რუსეთის ტერიტორიაზე ეგხ „კავკასიონს“ ექსპლუატაციას უწევს „კომპანიის“ ყარაჩაევოს ფილიალი. კომპანიის ყარაჩაევოს ფილიალის ძირითადი საქმიანობაა ეგხ „კავკასიონის“ ხაზზე საჭირო სამუშაოების ჩატარება და მისი სამუშაო მგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა. ფილიალს სრულად კონტროლდება კომპანიის მიერ და მას არ აქვს რაიმე გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

500 კვ ეგხ „კავკასიონი“ „ენგურჰესიდან“ მდინარეების ენგურის, ნაკრას, კოდორის, კლიჩისა და ყუბანის ხეობების გავლით ჰკვეთს ხიდასა და ნახარის უღელტეხილებს, ყარაჩაევო-ჩერქეზეთისა და ადიღეის რესპუბლიკების ტერიტორიებს და კრასნოდარის მხარეში შედის 500 კვ ძაბვის ქვესადგურში “ცენტრალნაია“. გადამცემი ხაზის სიგრძე 405 კილომეტრია, მათ შორის რუსეთის ტერიტორიაზე 300 კილომეტრი. კავკასიონის მთავარ ქედზე იგი გადის რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ კლიმატურ არეალში.

ელექტროგადამცემი ხაზის ავარიული გამორთვა იწვევს საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და ელექტროენერგიის ხარისხის გაუარესებას. ავარიულ გამორთვებს ძირითადად იწვევს მთებიდან წამოსული ზვავების შედეგად გამოწვეული ჰაერის დარტყმითი ტალღები, რა დროსაც ზიანდება სადენები. ელექტროგადამცემი ხაზის საიმედოობის ამაღლებისათვის კოდორის ხეობაში გამავალ მონაკვეთზე აუცილებელი გახდა ზოგიერთი ანძის ზვავისაგან არიდება, რისთვისაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზვავსაშიშ ზონებში სადენების, ანძების ნაცვლად, მთებს შორის გაჭიმულ ბაგირებზე დაკიდების თაობაზე. აღნიშნულის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გადამცემი ხაზის საიმედოობა და უსაფრთხოება.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ ახლო მომავალში, გენერაციის ობიექტების მშენებლობასთან ერთად აუცილებელი გახდება გადამცემი ქსელის მნიშვნელოვანი განვითარება, როგორც მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ასევე შიდა სასისტემო, როგორც ახალი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის, ასევე არსებულების მოდერნიზაციის გზით.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიხედვით, „კომპანიას“ აღებული ქონდა ვალდებულება განეხორციელებინა: 500 კვტ ეგხ "მუხრანის" მიერთება ქვესადგური „მარნეული-500-ის სალტეზე და 500 კვტ ეგხ "მარნეული-აირუმის" მშენებლობა საქართველო-სომხეთის საზღვრამდე (ეგხ-ს სიგრძე - 37 კმ, მათ შორის ახალი ასაშენებელი 18,5 კმ). აღნიშნულის ფარგლებში 2016 წელს განვახორციელეთ 500 კვტ ეგხ "მუხრანის" მიერთება ქვესადგურ "მარნეული-500"-თან. აღნიშნულ გადამცემ ხაზს, რომლის სიგრძემ 56 კილომეტრი შეადგინა, ეწოდა ახალი დისპეტჩერული სახელი „ასურეთი“. გადამცემი ხაზი ერთმანეთთან აკავშირებს ქვესადგურებს „ქსანი-500“-სა და "მარნეული-500".

330 კვ ეგხ „გარდაბანი“ წარმოადგენს საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 330 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს. იგი ექსპლუატაციაში შევიდა 1958 წელს და ერთმანეთთან აკავშირებს ქვესადგურებს „გარდაბანი-500“-სა (საქართველო) და „აღსტაფას“ (აზერბაიჯანი). ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 64 კილომეტრია, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე 21,1 კმ. ეგხ-ს ზღვრული დატვირთვაა 250 მგვტ. საქართველოს ტერიტორიაზე გადამცემი ხაზი მოიცავს 60 ანძას და მათზე დამონტაჟებულია ACO 480 მარკის ფოლად-ალუმინის სადენი.

დღეისათვის ეგხ-ს ტექნიკური მდგომარეობა ისეთია, რომ ანძები კოროზირებულია და საჭიროებს სრულ შეცვლას. ასევე სადენიც, ექსპლუატაციის ვადებიდან გამომდინარე ამოწურული აქვს მუშაობის რესურსი. შესაბამისად ეგხ-ს განახლებისათვის საჭიროა ყველა ანძისა და სადენის სრულად შეცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ საზოგადოებისათვის ტარიფის გაანგარიშებისას აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის ღირებულება არ გაითვალისწინა მისი ნულოვანი ნარჩენი ღირებულების გამო.

აზერბაიჯანულმა მხარე, თავის ტერიტორიაზე, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრამდე ამთავრებს ორჯაჭვა 330 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას (ფაზაში 2xAC300 მარკის სადენით).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიღებული გვაქვს თანხმობა 330 კვ ეგხ „გარდაბნის“ რეკონსტრუქციის თაობაზე მისი გაორჯაჭვიანების გზით. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2019-2029 წლების ათწლიან გეგმაში შეტანილია 330 კვ ეგხ „გარდაბანი-აღსტაფას“ (330 კვ ეგხ „გარდაბანი“) რეკონსტრუქცია მისი გაორჯაჭვიანების გზით და აღნიშნული პროექტის განმახორციელებელ და ახალი ორჯაჭვა 330 კვ ეგხ „1,2 გარდაბნის“ მფლობელ კომპანიად განსაზღვრულია სს გეს „საქრუსენერგო“.

სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2021 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.

330 კვ ეგხ „გარდაბნის“ რეკონსტრუქცია მისი გაორჯაჭვიანების გზით, საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობით, პერსპექტივაში შექმნის სიმძლავრეთა 800 მგვტ-მდე მიმოცვლის შესაძლებლობას და აამაღლებს საქართველოს აზერბაიჯანისა და რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი რგოლის სინქრონული ოპერირების საიმედოობას.

2017 წლის ბოლოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ჩვენს „კომპანიას“ დაუდგინა ელექტროენერგიის გადაცემის ახალი ტარიფი, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა „კომპანიის“ შემოსავლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობისა და იმედიანობის ამაღლებისათვის, გვაქვს შესაძლებლობა საკუთარი შემოსავლებითა და რესურსით საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში გარდა დაგეგმილი 500 კვტ ეგხ „მარნეული-აირუმისა“, რომლის მშენებლობის დაწყება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით გაჭიანურდა, განვახორციელოთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი პროექტი.

იმის გათვალისწინებით, რომ 500 კვტ ეგხ „კავკასიონი“ გადის რთულ რელიეფურ და მეტეოროლოგიურ-კლიმატურ არეალში არცთუ შორეულ პერსპექტივაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს „კავკასიონის“ ალტერნატიული ელექტროგადამცემი ხაზის აშენება ქვესადგურ „ქსანი-500“-დან სტეფანწმინდამდე და დარიალის ხეობის გავლით ქვესადგურ „მოზდოკამდე“. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზით და ეგხ „კავკასიონით“, რუსეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანისა და თურქეთის ენერგეტიკულ ბაზრებს შორის შესაძლებელი იქნება 8-9 მილიარდ კვტ.სთ-მდე მოცულობის ელექტროენერგიით ვაჭრობა, რაც უზრუნველყოფს სიმძლავრეთა მიმოცვლის მაღალ საიმედოობას - ზაფხულში, საქართველოში გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტს და ზამთარში - მნიშვნელოვან მონაწილეობას ენერგოსისტემის დეფიციტის შევსებაში.

გვინდა ავღნიშნოთ, რომ „კომპანია“ 2017 წლამდე საქმიანობდა იჯარით აღებულ საოფისე ფართში და ასევე იჯარით აღებულ ტერიტორიაზე სადაც განთავსებული იყო „კომპანიის“ ბაზა - ლოჯისტიკისა და ტრანსპორტის სამსახური, თბილისის საექსპლუატაციო სარემონტო უბანი, მძიმე ტექნიკის და მასალების საწყობი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე ქ. თბილისში, გლდანში, მარკ ბრონშტეინის ქ.#1-

ში გადმოგვეცა 7500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე განვახორციელეთ „კომპანიისათვის“ ოფისის და ბაზის მშენებლობა და იგი ექსპლუატაციაში შევიდა 2017 წლის ივნისის თვეში. ასევე, 2018 წლის წლის ივლისის თვეში მიმდებარე ტერიტორიაზე გრძელვადიანი იჯარით გადმოგვეცა 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი - მასალებისა და მძიმე ტექნიკის განსათავსებლად, რომელზეც აშენდა ავტოპარკის და სპეცტექნიკის განსათავსებელი ნაგებობები.

ელექტროგადამცემი ხაზების შეკეთებაში ყოფნის შეზღუდულ ვადებში „კომპანიის“ საქმიანობის ეფექტურობისა და ოპერატიულობის ამაღლების მიზნით ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განახლდა და შეივსო „კომპანიის“ სპეც ტექნიკის პარკი, მათ შორის მძიმე ტექნიკით, რომელთაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილება ქვეყანაში სტიქიური მოვლენებით შექმნილი პრობლემების სალიკვიდაციო სამუშაოებში. „კომპანია“ კვლავაც მზად არის საჭიროების შემთხვევაში ცოცხალი ძალითა და ტექნიკით აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნისათვის საჭირბოროტო და პრობლემატური საკითხების მოგვარებაში.

კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ელექტროგადამცემი ხაზების სწორი და უწყვეტი მუშაობა ისე, რომ არ შეუქმნას რაიმე საფრთხე გარემოს. ამჟამად კომპანიას არ გააჩნია გარემოს დაცვასთან დაკავშირებული რაიმე კონკრეტული პოლიტიკა. თუმცა მუდმივად უზრუნველყოფს ანძების მიმდებარე ტერიტორიების გასუფთავე/გაკაფვას, რათა ადგილი არ ქონდეს რაიმე შემთხვევას.

კომპანიის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანას წარმოადგენს საავარიო სიტუაციების თავიდან აცდენა. დასახული მიზნის მისაღწევად, „კომპანია“ გეგმავს: განაგრძოს საჭირო მოცულობის პროფილაქტიკური, სარემონტო და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება; საჭიროდ აყენებს მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების შესრულებას; ტექნიკური მომსახურების ორგანიზებას, მონაკვეთებზე მოწყობილობების და ენერგოსისტემის ობიექტების საიმედოდ მუშაობის მხარდასაჭერად.

ასევე, „კომპანიის“ ერთ-ერთ საკვანძო ამოცანად რჩება, ხარჯების ეკონომიურად მიზანშეწონილი პოლიტიკის მხარდაჭერა და მოგების გაზრდა. შრომის ნაყოფიერების ზრდა, თანამშრომლების ეფექტური მართვისა და ორგანიზაციის გზით. აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებითა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. აქტივების მოცულობის ზრდა და საზოგადოების დადებითი ფინანსური შედეგის ფორმირება.

„კომპანიის“ რისკებს მიეკუთვნება:

-დარგობრივი რისკი;

-საბაზრო რისკები. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში

-ფინანსური რისკი. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოება ელექტროენერგიის გადაცემის მომსახურებას ძირითადად ახორციელებს ქვეყნის შიგნით, უცხოური ვალუტების კურსის მერყეობით გამოწვეული რისკი უმნიშვნელოა. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ მოცემულია „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების 21-ე შენიშვნაში.

-სავალუტო რისკი: აღნიშნული რისკი „კომპანიის“ მხრიდან მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან ძირითადად საქმიანობა ხორციელდება ლარში.

-ფორს-მაჟორი. არ არის დამოკიდებული კომპანიაზე.

შენიშვნა: კომპანია არ იყო ჩართული კვლევების-ძიებისა და განვითარების (R&D) აქტივობებში 2018 წელს.*

18 ივლისი 2019

_____

ბაჩანა სულაძე
გენერალური დირექტორი